ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 10 იანვარი, 2020 №7 (8271) ფასი: 60 თეთრი

## ადვოკატი კორძაძე: „ყველა შემმოწმებელმა თქვა, რომ ფულის გათეთრება მათ არ აღმოუჩენიათ“

პროკურორი მიქავა: „მოწმეებმა აღნიშნეს, რომ 2008 წელს ჯაფარიძესა და ხაზარაძეს ბანკიდან ამოღებული თანხის მიღების უფლება არ ჰქონდათ“



გვ.5

# „გახარიას მოხსნა დიდი სისულელე იქნება“



## თორნიკე შარაშენიძე: „ოცნებას“ კრიზისების გაჩალიჩების დიდი ნიჭი აქვს“

გვ.3





გვ.3

## ლაშა ჩხარტიშვილი: „3.000 ლარის გადახდას არ ვაპირებ“

„შავი სიით ანგარიშს არავის გავუსწორებთ“

## ლევან ალაფიშვილი: „ხაზარაძე, როგორც პოლიტიკოსი, „ოცნებამ“ შექმნა“



გვ.3

„ანაკლიის გაჩერებით სახელმწიფომ იზარალა“

## „პრეზიდენტმა საქართველო დამნაშავეების სახელმწიფოდ გამოაცხადა“



გვ.4

მამუკა ტუსკაძე: „პრეზიდენტის მხრიდან დანაშაულია ჩადენილი“

## მიანჭედებიან თუ არა საქართველოს მოქალაქეები გერმანიას?



გვ.4

რას ჰპირდება ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების წარმომადგენლებს ანგელა მერკელი



გვ.2

## სოხუმში მომიტინგეები დე ფაქტო პრეზიდენტის შენობაში შეიჭრნენ

ISSN 1987-9385

2 მთავრობამ ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან ხელშეკრულება გაწყვიტა

2 ანა ჯაბაური: „ცოტნე გამსახურდიას გამოღვიძება ჯერ ადრეა“ რას ამბობენ თურქი ექიმები

5 მურად წურწუმიას მკვლელობისთვის დაკავებულ ზურაბ ფოფხაძეს ბრალი დაუმძიმდა

6 ტრამპი: „ირანს ატომური იარაღის ქონის უფლება არასდროს მიეცემა“

# სოხუმში მომიტინგეები დე ფაქტო პრეზიდენტის შენობაში შეიჭრნენ

გუშინ, 9 იანვარს, სოხუმში მომიტინგეები დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობაში შეიჭრნენ. მათ ფანჯრის მინები ჩაამსხვრიეს და შენობის შიგნით შეღწევა მოახერხეს.

აქციის მონაწილეებსა და შენობის ადმინისტრაციის დაცვის წევრებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

სოხუმში ოპოზიციის მომხრეების საპროტესტო აქცია გუშინ დილით დაიწყო. ისინი ე.წ. პრეზიდენტის არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას ითხოვენ.

აქცია დრამატული თეატრის შენობის წინ დაიწყო და მოგვიანებით ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობასთან გაგრძელდა.

ცოტა ხნით ადრე ოკუპირებული აფხაზეთის „უზენაესმა სასამართლომ" საკასაციო საჩივრის მოსმენა დაიწყო ყოფილი ე.წ. საპრეზიდენტო კანდიდატის, ოპოზიციური პარტია „ამცახარას" ლიდერ ალხას კვიცინიას სარჩელზე. სარჩელი გულისხმობს, რომ გადაწყვეტილება „სახელმწიფოს მეთაურის არჩევის შესახებ" გამოცხადდეს ბათილად.

აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გასული წლის 8 სექტემბერს გაიმართა, სადაც დე ფაქტო საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ამჟამინდელმა დე ფაქტო პრეზიდენტმა, რაულ ხაჯიმბამ 47.39%-ით გაიმარჯვა, მოსახლეობის 46,17%-მა კი ხმა ალხას კვიცინიას მისცა. „ამცახარა" „არჩევნების" შედეგებს არ აღიარებს და მათ გაბათილებას ითხოვს.

დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ ე.წ. უშიშროების საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ, მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ არ აჰყვნენ პროვოკაციებს სოხუმში ოპოზიციის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით.



– ძვირფასო თანამოქალაქეებო, ბოლო მოვლენებთან დაკავშირებით, რაც სოხუმში მოხდა, მოგმართავთ თხოვნით, შეინარჩუნეთ სიმშვიდე, არ აყვეთ პროვოკაციებს, – აღნიშნა ხაჯიმბამ.

მისი თქმით, ძალოვანი სტრუქტურები გადაყვანილია მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე.

– ამ სიტუაციაში ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ სიმშვიდე და ჩვენი ქვეყნის არსებობა საფრთხის ქვეშ არ უნდა დავაყენოთ. ყველა სახელმწიფო სტრუქტურა მუშაობს არა საშტატო სიტუაციაში. ძალოვანი სტრუქტურები გადაყვანილი არიან მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე. მე როგორც კონსტიტუციის გარანტმა გავეცი ყველა საჭირო დავალება, რათა მოვლენები სამართლებრივ ველს არ გასცდეს, – განაცხადა ხაჯიმბამ.

გუშინვე აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის თავმჯდომარე ვალერი კვარჩია კლინიკაში გადაიყვანეს.

მას დეპუტატებთან შეხვედრის შემდეგ გულის შეტევა დაემართა.

კვარჩია სასწრაფო დახმარების ექიმებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. სპიკერი შენობიდან ექიმების თანხლებით გამოვიდა და თან მომიტინგეებს კეთილგონიერებისკენ მოუწოდებდა.

ვალერი კვარჩია 73 წლისაა. ის ამ თანამდებობაზე პირველად – 2012, მეორე ვადით კი 2017 წელს აირჩიეს.

სოხუმში მიმდინარე მოვლენებს თბილისში გამოეხმაურნენ.

„საქართველოს ევროპელი დემოკრატების" თავმჯდომარე პაატა დავითაია მიიჩნევს, რომ რუსეთს ალექსანდრე ანქვაბის ხელისუფლებაში დაბრუნების სურვილი არ აქვს.



– არ დაგვავიწყდეს, რომ ბჟანია, რომელიც მოწამლული იყო, იყო ანქვაბის კანდიდატი და რეალურად, რუსეთს არ სურს ანქვაბის ხელისუფლებაში დაბრუნება. არა როგორც პიროვნულად, არამედ როგორც ერთ-ერთ გავლენიან პირს. იმიტომ, რომ ანქვაბი არ არის პრორუსული პოლიტიკოსი. ის არის პროაფხაზური პოლიტიკოსი.

ის არ უჭერს მხარს საქართველოსთან გაერთიანებას, მაგრამ არ უჭერს დიდად მხარს ინტეგრაციას რუსეთთან. მე ვფიქრობ, რომ ეს დამთავრდება იმით, რომ ხაჯიმბას მოუწევს გადადგომა, იმიტომ, რომ მოსახლეობა ძალიან უკმაყოფილოა მისით. ის მიიჩნევა არალეგიტიმურ პრეზიდენტად, დაწყებული მეომართა კავშირიდან, დამთავრებული უხუცესთა საბჭოთი, ყველა მხარს უჭერს ოპოზიციას, ამიტომ მე ვფიქრობ, რომ მოვლენები ძალიან საინტერესოდ განვითარდება და არ არის გამორიცხული, უახლოეს ხანებში იყოს კიდევ ერთხელ საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში, – განაცხადა პაატა დავითაიამ.

ის ვითარება, რომელიც ახლა ოკუპირებულ აფხაზეთშია, მოსალოდნელი იყო.

ამის შესახებ „ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობის" თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ განაცხადა.

– მოსალოდნელი იყო ის, რაც ხდება აფხაზეთში, იმიტომ, რომ არჩევნები, ჩემი აზრით, იყო აშკარად გაყალბებული. მე ვერ ვიტყვი, რა როლი აქვს რუსეთს ამ შემთხვევაში, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ პირად საუბრებში, რამდენიმე ადამიანმა გამოთქვა ეჭვი და წუხილი, რომ პროცესები ასე განვითარებულიყო, – აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

სოხუმში განვითარებული მოვლენები შეაფასა პარლამენტის ფრაქცია „ევროპული საქართველოს" წევრმა გიგა ბოკერიამ.

– ყველგან, სადაც რუსეთის საოკუპაციო რეჟიმია, ხდება ბოლომდე დეციმაცია, სხვა ადგილებში ყველგან არის კრიზისი, კრიმინალი, უბედურება, დაპირისპირება. არ არსებობს ადგილი, სადაც პუტინის რუსეთს აქვს გავლენა და იქ საქმე იყოს კარგად, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

# მთავრობამ ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან ხელშეკრულება გაწყვიტა

## კონსორციუმი მთავრობის წინააღმდეგ საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართავს

გუშინ, 9 იანვარს, საქართველოს მთავრობამ ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან ხელშეკრულება გაწყვიტა.

აღნიშნულ საკითხზე მთავრობის გუშინდელ სხდომაზე იმსჯელეს და გადაწყვეტილებაც გამოაცხადეს.

შეგახსენებთ, მთავრობის მიერ ბოლო გადავადების შედეგად კონსორციუმს 31 დეკემბრამდე ჰქონდა ვალდებულებების შესრულების, კერძოდ, პოტენციურ ინვესტორებთან 120 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კონსორციუმის საკუთარი კაპიტალის შევსების თაობაზე შეთანხმების, ასევე საერთაშორისო ბანკებთან 400 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით სესხის გამოყოფის თაობაზე შეთანხმების მიღწევისა და ხელშეკრულების გაფორმების, პორტის პირველი ფაზის ტერმინალის ოპერატორთან და სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორთან ხელშეკრულების გაფორმების ვადა.

საქართველოს მთავრობის შეფასებით, ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა ვალდებულებების შესრულება ვერ შეძლო.

კონსორციუმის დირექტორ ლევან ახვლედიანის განცხადებით, კონსორციუმი მთავრობის წინააღმდეგ დავას ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის საკითხზე საარბიტრაჟო სასამართლოში გეგმავს.




ამის შესახებ ახვლედიანმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, კითხვის ქვეშ დგას პროექტის ბედი და ზიანდება ქვეყნის ინტერესი.

– მთავრობის დღევანდელი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად აღარ გვრჩება სხვა გამოსავალი, თუ არა მივმართოთ საარბიტრაჟო სასამართლოს. არის იურიდიული პროცესები, რომლებიც გასავლელია და დავძრავთ. პროცესების დასრულებისთანავე იქნება მიმართული საარბიტრაჟო სასამართლოში.

სამწუხაროდ, ის ფაქტი, რომ ასეთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის განხორციელებასაც შეუძლია ეკონომიკური გარდატეხა შეიტანოს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, ამ პროექტისთვის არ იყო ყველაფერი გაკეთებული, რაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო.

არ იყო გადადგმული მცირედი ნაბიჯები და არ იყო განხილული ის დათმობები, რომლებიც ჩვენ წინაპირობად წავაყენეთ, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში შეიძლებოდა პროექტის წარმატებით განხორციელება.

ეს, რა თქმა უნდა, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მთავრობის მოტივაციას ამ პროექტთან მიმართებაში, აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ ამ პროექტის ბედს, რომელზეც პასუხი გაუცემელია. ისევ და ისევ ზიანდება ეს პროექტი, ზიანდება ჩვენი ქვეყნის ინტერესი, – განაცხადა ახვლედიანმა.

# ხელისუფლება აკა სულავას დაკავებას გეგმავს?

გუშინ, 9 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ერთ-ერთი იმ არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი გამოიკითხა, რომელიც უშიშროების საბჭოს საკონსულტაციო მომსახურებას უწევდა.

აკა სულავა აცხადებს, რომ საქმე პოლიტიკურია. მისი თქმით, რადგან საქმეს გრიფით საიდუმლო ადევს და მას, ისევე, როგორც მის ადვოკატს, გაუთქმელობაზე აქვთ ხელი მოწერილი, ის დეტალებზე ვერ ისაუბრებს.

– საქმე, რა თქმა უნდა, პოლიტიკურია. დამაკავებენ თუ არა, ვერ გეტყვით. რადგან გაუთქმელობაზე მაქვს ხელი მოწერილი, ვერაფერს გეტყვით, – აცხადებს სულავა.

სულავას ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ პროცესის შემდეგ აკა სულავა დააკავონ.

– საქმეს ადევს გრიფით საიდუმლო, დეტალებზე საუბრის უფლება არ მაქვს, – ამბობს თორნიკე უსტარაშვილი.

უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი გიგა ბოკერია ამ საქმეზე პირველად 2014 წლის აპრილში გამოკითხეს. საქმე ეხება ბოკერიას მიერ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში დადებულ ხელშეკრულებებს.

# ანა ჯაბაური: „ცოტნე გამსახურდიას გამოღვიძება ჯერ ადრეა"

## რას ამბობენ თურქი ექიმები

საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილის, ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ცოტნე გამსახურდიას მეუღლე ანა ჯაბაურმა თურქი ექიმების ინფორმაციაზე დაყრდნობით განუცხადა.

მისივე განმარტებით, ცოტნე გამსახურდია თურქეთის კლინიკაში ჯერ კიდევ დაცვითი ნარკოზის ქვეშ იმყოფება.

– ჯერჯერობით ისევ ისეა, თუმცა მისი მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, მიუხედავად ამისა, როგორც ექიმები ამბობენ, ჯერ მისი გამოღვიძება ადრეა. ჯერჯერობით ისევ მართვით სუნთქვაზეა, დაცვითი ნარკოზის ქვეშ. ასე ჯობს იყოსო, როგორც ექიმებმა თქვეს, – განაცხადა ანა ჯაბაურმა.

შეგახსენებთ, რომ ცოტნე გამსახურდია თურქეთის კლინიკაში რამდენიმე დღის წინ გადაიყვანეს. საქართველოდან გადაყვანის შემდეგ მას საზღვარგარეთ ქირურგიული ოპერაცია აღარ ჩასტარებია.

ცოტნე გამსახურდია 19 დეკემბერს დაჭრეს. მას თავდაპირველად ხეჩინაშვილის კლინიკაში მკურნალობდნენ.

მისი დაჭრის ფაქტზე 4 პირია დაკავებული.

# მურად წურწუმიას მკვლელობის საქმეზე დაკავებულ ვახტანგ ბურძენიძეს პატიმრობა შეეფარდა

ვარკეთილში, ე.წ. დამპალოს სასაფლაოზე მომხდარი დაპირისპირების შედეგად გარდაცვლილი მურად წურწუმიას საქმეზე დაკავებულ ვახტანგ ბურძენიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე გიორგი კერატიშვილმა გამოაცხადა.



გუშინდელ სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარე ბურძენიძისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა. აღნიშნულ შუამდგომლობას არ დაეთანხმა დაცვის მხარე.

ვახტანგ ბურძენიძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეექვსე ნაწილითა და სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

შეგახსენებთ, პროკურატურის ინფორმაციით, 2020 წლის 2 იანვარს, ღამის საათებში, მუხრან ჩხვირკია და მურად წურწუმია ვარკეთილის მე-3 მასივში, ე.წ. დამპალოს სასაფლაოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, სადაც ასევე იმყოფებოდნენ ბრალდებულები, შსს-ს თანამშრომელი ზურაბ ფოფხაძე და მისი თანმხლები ვახტანგ ბურძენიძე.

გამოძიების ინფორმაციით, მათ შორის ურთიერთშელაპარაკება დაიწყო ბრალდებულ ზურაბ ფოფხაძის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების ნიადაგზე. გამოძიების თანახმად, ბრალდებული ზურაბ ფოფხაძე ვახტანგ ბურძენიძესთან ერთად შეეცადა წურწუმიასა და ჩხვირკიას შეჩერებას.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, კონფლიქტში მონაწილეთა შორის ფიზიკური დაპირისპირება გაგრძელდა რამდენიმე წუთის განმავლობაში, რომლის დროსაც ზურაბ ფოფხაძემ ვახტანგ ბურძენიძესთან ერთად ჯგუფურად, მურად წურწუმიას მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო სხეულის დაზიანებები, რამაც ამ უკანასკნელის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ხოლო მუხრან ჩხვირკვიამ ბრალდებულების მხრიდან ჯგუფურად განხორციელებული ცემის შედეგად განიცადა ფიზიკური ტკივილი.

იპნ

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გახარიას მოხსნა დიდი სისულელე იქნება“

## თორნიკე შარაშენიძე: „ოცნებას“ კრიზისების გაჩალიჩების დიდი ნიჭი აქვს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

***— ბატონო თორნიკე, ბოლო დღეები ისევ გააქტიურდა საუბრები სამთავრობო ცვლილებებზე. ამბობენ, გიორგი გახარიას თალაკვაძე ან ჩხენკელი შეცვლისო. რას იტყვით თქვენ?***

— ამის შესახებ მეც ახლა გავიგე. ძალიან მიჭირს რამის თქმა. თუ ასეა, მაშინ არ არის მაინცდამაინც სწორი ნაბიჯი. გახარია, ასე თუ ისე, ძლიერი ფიგურის შთაბეჭდილებას ტოვებდა. საარჩევნო წელია და არც ჩხენკელსა და არც თალაკვაძეს გამოცდილება არ აქვთ, არ ჩანან ისეთი ფიგურები, რომ რამე შეცვალონ. საარჩევნო წელია და ჩვენ ვიცით, როგორ რეჟიმში მუშაობს საქართველოს მთავრობა და რეჟიმი უნდა იყოს დაუნდობელი, რომ არჩევნები მოიგოს. არც თალაკვაძე და არც ჩხენკელი ასეთ შთაბეჭდილებას არ ტოვებენ.

***— ანუ ეს ჭორია?***

— მართალი გითხრათ, არაფერს გამოვრიცხავ არანაირად, უბრალოდ, ვცდილობ, ეს ლოგიკა ავხსნა. დღეს საჭიროა ძლიერი, მკაცრი ხელი. გახარია ასეთია, აი, თალაკვაძისა და ჩხენკელის რა მოგახსენოთ. ამიტომ მე ვერ ვხვდები ლოგიკას, ეს რატომ უნდა გააკეთონ, მით უმეტეს, რომ საარჩევნო წელია.

***— ოპოზიციამ შავი სიის შედგენა დაიწყო, ბევრი ამ პროცესს არასერიოზულად უყურებს. აქვს ოპოზიციას რამე ბერკეტები ხელისუფლების ქმედებების გასანაღმავად?***

— ეს შავი სია ცოტა უცნაურად და სასაცილოდ კი ჟღერს და ოპოზიციას არაფერს მატებს. ჩემი აზრით, დღეს ოპოზიციის მთავარი კოზირი არის თვითონ მთავრობა, რომელიც ბევრ სისულელეს ჩაიდენს. ასე რომ, დასხდნენ და დაელოდონ, მთავრობა როდის ჩაიდენს სისულელეს და იყვნენ ჩასაფრებულები.

***— „ოცნება“ ნელ-ნელა სისხლიან რეჟიმად ინათლება. რას იტყვით თქვენ?***

— სამწუხაროდ, ასეა. მათი ეფექტიანობის იმედი თავიდანვე არავის ჰქონდა, მაგრამ, იმის იმედი მაინც გვქონდა, რომ შედარებით რბილი ხელისუფლება იქნებოდა. აღმოჩნდა ისე, რომ ეფექტიანობაში ნამდვილად ჩამორჩებიან და ახლა უხეშობაშიც ემსგავსებიან. აი, ეს მივიღეთ საბოლოო ჯამში.

„ოცნება“ მთლიანად ფულის კეთებაზეა გადასული, რომ სანამ ხელისუფლებაში არიან, მოასწრონ და ფული აკეთონ.

***— ოპოზიციის სამოქმედო გეგმაზე რას იტყვით?***

— მე მგონი, ოპოზიცია ისევ ერთიანი იქნება, ლელოს თუ არ ჩავთვლით, რადგან ლელო მათ არ შეუერთდება. მას თავიანთი დღის წესრიგი აქვს, თუმცა, ეს რამდენად გაამართლებს, არ ვიცი. რასაც მე ვუყურებ, ლელოს ცნობადობა საკმაოდ დაბალია მოსახლეობაში. ჯერჯერობით მათ არ დაუწყიათ საზოგადოებაზე მუშაობა. შესაბამისად, ლელო რას იზამს, ჩემთვის ბუნდოვანია. თეორიულად კი სწორია, რომ შუაშისტებზე იმუშაონ, მაგრამ მაინცდამაინც მუშაობას მე ვერ ვატყობ.

***— ოპოზიციას დასავლეთის იმედი ჰქონდა, თუმცა ამბობენ, რომ დღეს დასავლეთს საქართველოსთვის არ სცალია.***

— მე არა მგონია, რომ სანქციებამდე მივიდეს საქმე. ჯერ ძალიან შორს არის იქამდე.

***— რამდენად მოიცლის ჩვენთვის ამერიკა?***

— ახლა უფრო მოიცლის, ბოლოს და ბოლოს, ელჩი დანიშნეს. ელჩი რაღაცას მაინც შეცვლის. შეიძლება, პრიორიტეტი ქვეყანა არ ვიყოთ და არც პირველ ხუთეულში, მაგრამ ელჩი დანიშნეს და მათთვის საქართველო ძალიან მნიშვნელოვანია, თუნდაც იმავე რუსეთთან ურთიერთობის კონტექსტში.

***— საარჩევნო სისტემის შეცვლას ელოდებით?***

— „ოცნებას“ ამის სურვილი არ აქვს და მაქსიმალურად ივაჭრებს, რომ მისთვის ხელსაყრელ ვარიანტზე დაითანხმოს ოპოზიცია. რაღაცა შეიძლება, ხელისუფლებამაც დათმოს, მაგრამ პროპორციულზე არ წავა. არ გამოვრიცხავ, ისეთი კრიზისი შეიქმნას, რომ საერთოდ მარტივ მამრავლებად დაიშალოს „ოცნება“, რადგან მას კრიზისების გაჩალიჩების დიდი ნიჭი აქვს.

***— ალბათ თქვენთვისაც ცნობილია გიგი უგულავას ინიციატივა ერთიანი სიის შექმნის შესახებ. რამდენად იმუშავებს ეს?***

— სიტუაცია როგორი შეიქმნება, იმაზეა დამოკიდებული. ცხადია, ამ ხელისუფლებას მიშას ძახილის მეტი არაფერი დარჩენია. მიშა მოვა,



მიშა მოვა. ხედავენ, რომ ეს ველარ მუშაობს, თუმცა ახალსაც ვერაფერს იგონებენ. ამხელა ფულს იხდიან პიარში და სულ ტყუილად, არაფერი აქედან არ გამოვა.

ეს ხმები რომ გამართლდეს და არჩევნების წინ შეცვალონ გახარია, ეს ხომ დიდი სისულელე იქნება? ასეა თუ ისე, გახარიამ იმუშავა საპრეზიდენტო არჩევნებზე და „ოცნებას“ მოაგებინა. თუ მართლა გადაწყვიტეს, რომ უნდა შეცვალონ, არ ვიცი, რა გითხრათ.

ამის შეფასება ჩემს შესაძლებლობებს აღემატება.

# ლევან ალაფიშვილი: „ხაზარაძე, როგორც პოლიტიკოსი, „ოცნებამ“ შექმნა“

## „ანაკლიის გაჩერებით სახელმწიფომ იზარალა“

იაგო ნაცვლიშვილი



საქართველოს მთავრობამ გუშინ, 9 იანვარს, ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან ხელშეკრულება გაწყვიტა. ბოლო პერიოდში წარმოებული კამპანიით ცხადი იყო, რომ ასე მოხდებოდა და მთავრობის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა.

რას ნიშნავს ეს გადაწყვეტილება და რა დანაკარგს მიიღებს საქართველო? — ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი **ლევან ალაფიშვილი** საუბრობს.

***— ანაკლიის კონსორციუმს საბოლოოდ გაუწყვიტეს ხელშეკრულება. რას ნიშნავს ეს ქვეყნისთვის და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტი როგორც ეკონომიკური, ისე სტრატეგიული თვალსაზრისით დამუხრუჭდა?***

— სამწუხაროა, რომ ის მცირედი მოლოდინი და შანსი, რომ სახელმწიფოებრივი საკითხებისადმი უფრო სერიოზული მიდგომა იქნებოდა გამოვლენილი, სწორედ ახალ წელს, 2020 წელს იქნა წერტილდასმული ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებით.

ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ძალიან დიდი დრო დავკარგეთ და კვლავ ვკარგავთ ამ მასშტაბის პროექტის განსახორციელებლად ჩვენი სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით. ეს არის როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალურ-პოლიტიკური უსაფრთხოების განსამტკიცებლად და ჩვენი ყოფის გასაუმჯობესებლად გაკეთებული პროექტი, ასევე ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოძმე ადამიანებისთვის ხელახლა საერთო სახელმწიფოში ინტეგრაციისთვის. ამ პროექტის გაჩერება კი ამის დამუხრუჭებას ნიშნავს.

ანაკლია თავისი მნიშვნელობით არის დაახლოებით ისეთი პროექტი, რა შანსიც გვქონდა 90-იან წლებში და ის გამოყენებული იყო. შეიძლება, მძიმე ფასი გადავიხადეთ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, განხორციელდა. მხედველობაში მაქვს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი.

ანაკლია კი მასშტაბით უფრო დიდი პროექტია და უფრო დიდი შანსია, რომელიც ჩვენნაირ სახელმწიფოებს ბევრი არ ეძლევათ ხოლმე. სწორედ ამიტომ ვთქვი, რომ ეს არის სახალხო პროექტი. შეგახსენებთ, მე ვიყავი ინიციატორი იმ განცხადებისა, რომელიც 1 წლის წინ მთავრობასა და პროექტში ჩართულ მხარეებს გაუგზავნეს 30-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამ და ექსპერტმა, სადაც აქცენტს სწორედ უსაფრთხოებასა და სახალხო მნიშვნელობაზე ვაკეთებდით. სამწუხაროდ, მორიგ ჯერზე დავკარგეთ დრო.

პროექტის იდეა კომუნისტების დროს გაჩნდა. შემდეგ წინა ხელისუფლებამ სხვა სახელითა და მოდიფიკაციით დააპირა ამის გაკეთება, მაგრამ მთავარი პორტის მშენებლობა, ინფრასტრუქტურის შექმნა და ახალი ქალაქის მოწყობა იყო. 2012 წლის შემდეგ პროექტი გაჩერდა და საჯაროდ გაცხადდა, რომ არ არის სიცოცხლისუნარიანი. რამდენიმე წელი კიდევ დაიკარგა და პოლიტიკური მოტივაციით, რომ ვაიმე, ვინმემ რამე არ მითხრას, სხვა სახელითა და შეფუთვით ამ ხელისუფლებამ დაიწყო მისი განხორციელება, რაც შემდეგ თვითონვე გააფუჭა და გააუქმა კიდეც.

უახლოეს პერიოდში ეს პროექტი ვერ დაიწყება, უცხოური ინვესტიცია ვერ შემოვა. მხედველობაში მაქვს დასავლური გამჭვირვალე ბიზნესი, თორემ, უცხოური ინვესტიციების სტატისტიკას რომ წარმოაჩენს ხოლმე ჩვენი მთავრობა, იქ დიდი ნაწილი უცხოური ინვესტიციებისა შეფუთულია და მოდის ოფშორული ზონებიდან და დიდი ნაწილი „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესთან დაკავშირებული ინვესტიციებია. მე ამ ნაწილზე არ ვსაუბრობ.

***— კიდევ ერთხელ ხომ არ გამოჩნდა ამ პროექტის შეჩერებით რუსეთისთვის გუნდრუკის კმევის პოლიტიკა?***

— ამასთან დაკავშირებით ორი რამე უნდა გავითვალისწინოთ. პირველი ის, რომ რუსეთი ინტენსიურად წარმართავს სამუშაოებს შავ ზღვაზე დომინანტური პოზიციის მოსაპოვებლად. როდესაც პოლიტიკოსი გარემოს არ ითვალისწინებს, რომელშიც ის ცხოვრობს და ყურადღებას არ აქცევს, რა ხდება მის ირგვლივ. შესაძლოა, ამ პროექტის გასაჩერებლად მართლაც იყო რამე საფუძველი, მაგრამ, როდესაც ასეთ გადაწყვეტილებას იღებ, ეს არ არის სახელმწიფოებრივად სწორი. რუსეთის ტემპებისა და ჩვენი რესურსების გათვალისწინებით ასე სწრაფად ფინანსების მობილიზებას ვერ შევძლებთ, ამიტომ მოგვიწევს ინვესტორების დაინტერესება.

მეეჭვება, რომ ახალი კონკურსი ჩატარდეს და ინსტიტუციურმა ინვესტორებმა, ამერიკელმა ან ევროპელმა საფონდო ბირჟებზე გასულმა ინვესტორებმა გამოხატონ ინტერესი და აქ განახორ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ლაშა ჩხარტიშვილი: „3.000 ლარის გადახდას არ ვაპირებ“

## „შავი სიით ანგარიშს არავის გავუსწორებთ“

ნათია ხურცილავა

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ლაშა ჩხარტიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იმ კომისიის საქმიანობაზე საუბრობს, რომელმაც ხუთკაციანი შავი სია დადო.

***— შავ სიას, რომელიც ოპოზიციის მიერ შექმნილმა კომისიამ დადო, არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა. ხელისუფლება ნაციონალების სიას უწოდებს, ოპოზიციის ნაწილს კითხვა აქვს, მაგალითად, მერიის სამსახურის წარმომადგენელი რამდენად იყო შესაყვანი ამ სიაში. რა პასუხი გაქვთ?***

— ხელისუფლების მხრიდან დიდი შემოტევა დაიწყო გადარჩენილი ტროლებისა თუ აღდგენილი ბოტების მეშვეობით სწორედ ამ შავ სიასთან დაკავშირებით. ამ კომისიის იდეის ერთ-ერთი ავტორი მე გახლდით, რომელიც სრულიად ოპოზიციური სპექტრის მიერ ერთხმად იყო გაზიარებული. როგორც ჩანს, ხელისუფლებას ძალიან აწუხებს ეს სია.

ჩვენ არავის გავუსწორებთ ანგარიშს. ეს არის ერთგვარი პრევენციაც და, რაც მთავარია, მიზანი არის ის, რომ საზოგადოებამ კარგად გაიცნოს ის ადამიანები, რომლებიც ყოველგვარ უკანონობას ჩადიან ყველაფრის ფასად.

ამ ინიციატივის ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირება მხოლოდ შავი პიარის ნაწილია და მეტი არაფერი. თუ ხელისუფლებას უნდოდა ნაციონალური მოძრაობის დროინდელი დანაშაულების გამოძიება, მას ამისთვის საკმაოდ დიდი დრო ჰქონდა. არათუ არ გამოიძია, წინამორბედი რეჟიმის ჯალათების დიდი ნაწილი გადმოიბარა კიდეც. მურუსიძე და მთელი ის მოსამართლეები ამის ნათელი მაგალითია.

***— მურუსიძე არ არის ამ სიაში.***

— ეს კომისია სწავლობს „გავრილოვის ღამის“ შემდეგ დაწყებულ რეპრესიებს. ჩვენ ვმუშაობთ 20 ივნისის შემდეგ განხორციელებული პოლიტიკური დევნის ფაქტებზე. კომისიამ აიღო ევროსაბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმები და სწორედ ამ კრიტერიუმებით ხდება აქტიური ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნის ფაქტების განსაზღვრა. უკანონი დაკავებები, უკანონო სანქციები, უკანონო ჯარიმები, უკანონო დევნა-თვალთვალი და ა.შ.

ვინც დანაშაული ჩაიდინეს ადამიანების წინააღმდეგ, მათ პასუხი უნდა მოეთხოვოთ. ღიად ხელისუფლებაც კი ვერ ამბობს, რომ დამნაშავე ჩინოვნიკები არ უნდა დაისაჯონ. სწორედ დაუსჯელობის სინდრომი შობს ახალ გირგვლიანს წურწუმიას მკვლელობის სახით. ამ სიაში ხვდებიან მხოლოდ ის პირები, რომლებთან მიმართებითაც კომისიამ დაადგინა უტყუარი მტკიცებულებები, უტყუარი ფაქტები, აშკარა კანონდარღვევის ვიდეო-ფოტო მასალები და ა.შ.

ეს არის სანქციების სია. ამ სიაში ხვდებიან ადამიანები, რომლებიც ასრულებენ უკანონო, დანაშაულებრივ ბრძანებას ან ასეთ ბრძანებას გასცემენ.

***— ხელისუფლება ამბობს, რომ ეს სია ლეიბორისტების ოფისს არ გასცდება.***

— როგორც ჩანს, მწარედ მოხვდათ და ამიტომაც ამბობენ. სია ითვალისწინებს საერთაშორისო სანქციებს, ფინანსური ანგარიშების გაყინვას. ასეთი სიები ამხელს სწორედ რეჟიმს, იმ რეპრესიების მასშტაბს, რომელიც რეჟიმის პირობებშია; მეორე, აფერხებს ამგვარი რეპრესიების განხორციელებას. კონკრეტული პოლიციელები, კონკრეტული მოსამართლეები, პროკურორები დაფიქრდებიან, რამდენად ულირთ მათ ასეთ უკანონობაზე წასვლა.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს იმუშავებს?***

— რა თქმა უნდა, ადამიანებს დაფიქრდებიან იმაზე, რომ ასეთ სიებში არ მოხვდნენ. ერთ მშვენიერ დღეს სამართლებრივად ამ უკანონობაზე პასუხი არ მოეთხოვოთ, ამაზე ნაწილი მაინც დაფიქრდება.



***— სამართლებრივი პროცესის დაწყებასაც აპირებთ?***

— კომისია დადებს მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება სასამართლოსთვის, მაგრამ, ვერ გეტყვით, რომ მოქმედი სასამართლო სისტემის პირობებში იქნება ეს მნიშვნელოვანი, ალბათ უფრო — სამომავლოდ, როდესაც პროპორციული საარჩევნო სისტემის შედეგად ავირჩევთ მრავალპარტიულ, კოალიციურ მთავრობას.

მრავალპარტიული პარლამენტი არის წინაპირობა იმისა, რომ ქვეყანაში შეიქმნას დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა და თავისუფალი პროკურატურა. ამ ადამიანებთან დაკავშირებით არავითარი ანგარიშსწორება არ იქნება. ეს იქნება თავისუფალი სასამართლოს პირობებში მიღებული გადაწყვეტილება. ბევრი შეიძლება დაემშვიდობოს თანამდებობასა და თბილ სავარძელს ან განსასჯელის სკამზე აღმოჩნდეს. ამ გადაწყვეტილებას სასამართლო მიიღებს.

კომისია ასევე მუშაობს მსხვერპლთა სიაზე. თავიდან ჩვენ პოლიტიკურ დევნილთა სიის გაკეთება დავიწყეთ. მნიშვნელოვანია ამ ადამიანების რეაბილიტაცია.

***— შავი სიის მეორე ეტაპი იქნება?***

— დიახ, იქნება, მაგრამ, ჩვენ ვცდილობთ, ეტაპობრივად გამოვაქვეყნოთ. ყველა პირის მიმართ, ვინც სიაში ხვდება, აბსოლუტურად დასაბუთებული, არგუმენტირებული ფაქტები გვაქვს.

მაგალითად, ჩემ მიმართ პოლიტიკურმა დაკავებამ მიზანმიმართული და დაუნდობელი ანგარიშსწორების სახე მიიღო. 3 იანვარს საერთოდ სხვის აქციაზე დამაკავეს, რომელშიც მე არ ვმონაწილეობდი. ერთ-ერთ ტელეკომპანიას პირდაპირ ეთერში ვერთვებოდი. აქციის მონაწილეებს გამოხატვის თავისუფლება ეზღუდებოდათ, ტროტუარზე დგომის უფლებას არ აძლევდნენ. ეს გავაპროტესტე და ამიტომ დამაკავეს.

რაც შეეხება იმ ჯარიმას, რომელიც 2 დღის წინ მოსამართლემ დამაკისრა, საერთოდ რეკორდი მოხსნეს. პოლიტიკური ნიშნით ასეთი რეკორდული ჯარიმა პირველად მე დამაკისრეს.

***— რამდენი?***

— 3.000 ლარი, რომლის გადახდასაც არ ვაპირებ. რომც ვაპირებდე, ვერ გადავიხდი, რადგან ჩემს შემოსავალს ბევრად აღემატება. თურმე ნუ იტყვით, მე საბავშვო ატრაქციონის ტერიტორიაზე შეჭრა მდომებია. პოლიციელმა ჩვენებაში დაადასტურა, რომ არათუ შეჭრის მცდელობა არ მქონია, ატრაქციონის ღობესაც არ მივკარებივარ, მაგრამ მოსამართლე ნინო თარაშვილმა 3-ათასიანი ჯარიმა მაინც გამომიწერა, რომელსაც არ გადავიხდი.

ამ შემთხვევაში მოსამართლე თარაშვილმა ვალერიან ფილიშვილს გადააჭარბა. საერთოდ, ვაპირებ, ეს ფაქტი საკონსტიტუციო სასამართლოში გავასაჩივრო.

2020, 10 იანვარი, №7

# „პრეზიდენტმა საქართველო დამნაშავეების სახელმწიფოდ გამოაცხადა“

## მამუკა ტუსკაძე: „პრეზიდენტის მხრიდან დანაშაულია ჩადენილი“

გულიკო ბალაძე

პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი, უფლებადამცველი **მამუკა ტუსკაძე** და ადვოკატები პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის საშობაოდ გამოცემულ შეწყალების აქტს აპროტესტებენ.

მათ პრეზიდენტს ჯერ წერილით მიმართეს, შემდეგ ათონელზე პრეზიდენტის რეზიდენციასთან აქცია გამართეს.

– ყოველგვარი საშობაო მილოცვებისა და დითირამბების გარეშე გვინდა დაგანახოთ, რომ საქართველო არ არის დამნაშავეების ქვეყანა და სახელმწიფო; საქართველოს ციხეებში მსჯავრდებულთა აბსოლუტური უმრავლესობა არ ზის მძიმე და განმეორებითი დანაშაულისთვის, ციხე სავსეა შემთხვევით, გაუთვალისწინებლად ჩადენილი და ისეთი ქმედებებისთვის მსჯავრდებული ადამიანებით, რომელთა საზოგადოებაში დაბრუნება შეწყალების გზით უფრო მომგებიანია, ვიდრე მათი არშეწყალება.

აქედან გამომდინარე, თქვენ მიერ ბოლო პერიოდში გამოცემული შეწყალების აქტი უფრო დანაშაულია, ვიდრე ჰუმანიზმის გამოვლინება. ამიტომ მოგმართავთ, უარი თქვათ ამ საპატიო და საპასუხისმგებლო მისიის შესრულებაზე და მსჯავრდებულთა შეწყალების უფლება სრულად გადასცეთ პრემიერ-მინისტრსა და მის ადმინისტრაციას.

ვიტოვებთ თქვენი კეთილგონიერების იმედს და უახლოეს პერიოდში პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავება-გამოქვეყნებას ველოდებით, – ნათქვამია მიმართვაში.

აქციის მონაწილეებმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ღობეზე გამოაკრეს პლაკატები: „დათმე შეწყალების უფლება“, „სოციალური სამართლიანობისთვის“, „თანასწორობისა და სოლიდარობისთვის“, საქართველო არ არის დამნაშავეების სახელმწიფო“ და „თავისუფლება რესოციალიზებულ პატიმრებს“.

***– ბატონო მამუკა, რა მიზანს ემსახურება თქვენი აქცია?***

– ჩვენი პერფორმანსი-აქცია ემსახურება ერთ მიზანს – პრეზიდენტს გავაგებინოთ, რომ აუცილებელია, დაიცვას კონსტიტუცია. კონსტიტუციით პრეზიდენტს ისედაც მცირე უფლებები აქვს მინიჭებული და ის მცირე უფლება სრულად გამოიყენოს.

შეწყალების უფლება პრეზიდენტის მთავარი უფლებაა, რასაც არ იყენებს. 6 იანვრის შეწყალების აქტით პრეზიდენტმა საქართველო დამნაშავეების სახელმწიფოდ გამოაცხადა, რაც სიმართლე არ არის – ჩვენი სახელმწიფო დამნაშავეების სახელმწიფო არ არის.



***– რას გულისხმობთ?***

– საქართველოს ციხეებში ბევრი რესოციალიზებული მსჯავრდებულია, რომელთა შეწყალების უფლების გამოყენებით გამოშვება შესაძლებელი იყო.

***– რატომ ამბობთ, რომ პრეზიდენტმა საქართველო დამნაშავეების სახელმწიფოდ გამოაცხადა?***

– იმიტომ, რომ მხოლოდ 5 მსჯავრდებული შეიწყალა. აქედან სამი მამაკაცია, ორი კი – ქალბატონი. მთელი საქართველოს ციხეებში 10 ათასამდე მსჯავრდებული იხდის სასჯელს. გამოდის, მხოლოდ 5 მსჯავრდებულია მზად იმისათვის, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას დაუბრუნდეს, რაც აბსურდია.

ჩვენ ადვოკატები ვართ, ყოველდღიური ურთიერთობა გვაქვს მსჯავრდებულებთან და ვიცით, რა ფსიქოლოგიის ადამიანები სხედან საპატიმრო დაწესებულებებში. დავიჯერო, მსჯავრდებულების 0,01%-ია გათავისუფლების ღირსი? ასეთი რამ არ არსებობს.

პრეზიდენტს განცხადებით მივმართეთ, მსჯავრდებულები, რომლებიც რესოციალიზებულნი არიან, შეიწყალოს. როგორც ჩანს, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამას ვერ ახერხებს. ამიტომ ჯობს, შეწყალების უფლება პრემიერ-მინისტრსა და მის ადმინისტრაციას გადაეცეს.

***– შეიძლება, პრეზიდენტი ფრთხილობს იმის გამო, რომ ყველა მის მიერ გამოცემულ შეწყალების აქტს დიდი გამოხმაურება და უარყოფითი რეაქციები მოჰყვა.***

– მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. როგორ შეიძლება, სიფრთხილის გამო დანაშაულს დანაშაული დაამატოს? სიფრთხილეს ამ შემთხვევაში დანაშაულის შედეგები მოაქვს. დღეს პრეზიდენტის მხრიდან ჩადენილია დანაშაული, როდესაც მან არ გამოიყენა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები და არ შეიწყალა მსჯავრდებულები. ჯობდა, საერთოდ არ შეეწყალებინა. მან ამ შეწყალების აქტით თქვა, რომ 10 ათას ადამიანში მხოლოდ 5 ადამიანი შეარჩია, რომელიც შეწყალების ღირსია. სწორედ ეს არის დანაშაული.

***– როდესაც ამბობთ, ამ შემთხვევაში პრეზიდენტმა დანაშაული ჩაიდინაო, ცოტა ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ არის?***

– პოლიტიკური შეფასებაა. რა თქმა უნდა, პრეზიდენტს სისხლისსამართლებრივი დანაშაული არ ჩაუდენია, შეწყალება პრეზიდენტის დისკრეციული უფლებაა, მაგრამ მან ჩაიდინა პოლიტიკური დანაშაული და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას დავაყენებთ.

თუ ჩვენს განცხადებაზე 10 დღის ვადაში არ გვიპასუხებენ, არ დაგვიძახებენ, ჩვენს აზრს არ გაითვალისწინებენ, მომავალში ფართომასშტაბიან აქციას ჩავატარებთ და კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებებსაც გამოვიყენებთ.

აქედან გამომდინარე, ქალბატონ სალომეს მოვუწოდებთ, გამოიყენოს თავისი კონსტიტუციური უფლება. შეწყალება მისი დისკრეციული უფლებაა, მაგრამ ჯობს, ეს უფლება სრულად გამოიყენოს.

***– თქვენს ერთ-ერთ პლაკატზე წერია: „თავისუფლება რესოციალიზებულ პატიმრებს“. ეს რას ნიშნავს?***

– ეს იმას ნიშნავს, რომ სასჯელის მთავარი მიზანი შესრულებულია. სისხლის სამართლის კანონმდებლობა ცნობს ასეთ რაღაცას – დანაშაული არ არის განგრძობადი თემა. ადამიანმა დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ შემდეგ გაიაზრა, ნანობს, სასჯელის დიდი ნაწილი მოიხადა და საზოგადოებისთვის საშიში აღარ არის.

***– ანუ დღეს ციხეებში სხედან ადამიანები, რომლებიც რესოციალიზებული არიან, მოხდილი აქვთ სასჯელის დიდი ნაწილი.***

– ზოგიერთი ადამიანი თავისი ფსიქოტიპიდან გამომდინარე, მზად არის საზოგადოებას დაუბრუნდეს. სწორედ ასეთი ადამიანებისთვის არსებობს შეწყალება.

***– პრეზიდენტს აკრიტიკებდნენ იმისათვის, რომ მძიმე დანაშაულში ბრალდებულები შეიწყალა. ახალი კრიტერიუმებით პრეზიდენტს ეს უფლება დარჩა?***

– კრიტერიუმებში წერია, რომ მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის შეწყალებაც შეიძლება, მაგრამ გარემოებები კარგად უნდა იყოს შესწავლილი.

**ლაშა სტურუა – ადვოკატი და უფლებადამცველი:**

– როდესაც ქალბატონი სალომე პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, მისი პიარსამსახური ხშირად თამარ მეფეს ადარებდა. მას შემდეგ პირველად აღმოჩნდა ქალი საქართველოს მმართველად. რა უფლებები აქვს, ცალე თემაა. ახლა მე ნიკოფსიიდან დარუბანდამდე საქართველოზე არ ვსაუბრობ, მაგრამ, თუ თამარ მეფესთან ოდნავი ბმა მაინც აქვს, უფრო მეტი ჰუმანურობა უნდა გამოიჩინოს. თამარ მეფე იყო პირველი ჰუმანისტური რეფორმების დამწყები.

შეწყალება მისი დისკრეციული უფლებაა, რასაც უნდა, იმას იზამს. ის ხუთი პირიც რომ არ შეეწყალებინა, კონკრეტულ პასუხს ვერავინ მოსთხოვდა, მაგრამ, ჰუმანურობის თვალსაზრისით, კარგი იქნება, თუ ამ უფლებას სრულად გამოიყენებს,

***– ბოლო დროს პრეზიდენტმა შეწყალების ახალი კრიტერიუმები შეიმუშავა, რაც, ალბათ, თქვენთვისაც ცნობილია.***

– დიახ, ცნობილია და სრულიად მიუღებელია.

***– რატომ?***

– არ ვიცი, ძალიან გულდაწყვეტილი ვარ – ქალბატონ სალომეს მიაჩნია, რომ მხოლოდ თვითონ შეუძლია გადაწყვეტილების მიღება. ადრე, ავადსახსენებელი სააკაშვილის დროსაც კი, კომისია მუშაობდა.

***– სააკაშვილი იმ კომისიის გვერდის ავლითაც იწყალებდა პატიმრებს.***

– სააკაშვილი შეწყალების კომისიის გვერდის ავლით პატიმრებს რომ იწყალებდა, ცუდად იქცეოდა, მაგრამ სალომე ზურაბიშვილმა კომისია საერთოდ გააუქმა და აღარ შექმნა. თუკი მას არ შეუძლია, მაშინ შეწყალების უფლება დათმოს და პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციას გადააბაროს, რომელსაც რეალური ძალაუფლება გააჩნია.

თუ შეუძლია, მაშინ კომპეტენტური პირებისაგან შექმნას კომისია, რომელიც რეკომენდაციას მისცემს. კომისიის არსებობის პერიოდშიც უამრავჯერ გაიპარა შეცდომა, კომისიის წევრებიც ადამიანები არიან, მაგრამ სად ერთი ადამიანის გადაწყვეტილება და სად რამდენიმესი, რომელიც პასუხისმგებლობას გადაინაწილებს. შედეგად, მინიმუმ, ჩვენი აქცია არ იქნებოდა.

ჩვენ აბსოლუტურად კონსტრუქციულები ვართ, მზად ვართ, თუ მათი ნებაც იქნება, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან ვითანამშრომლოთ და ვურჩიოთ, უკეთესად როგორ გაკეთდეს.

# ლევან ალაფიშვილი: „ხაზარაძე, როგორც პოლიტიკოსი, „ოცნებამ“ შექმნა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ციელონ ინვესტიცია, მით უმეტეს, მათ მაგალითი ექნებათ, რომ მთავრობის მიერ გამოცხადებული კონკურსი ჩავარდა და პოლიტიკური შემადგენელი ძალიან დიდი იყო. გავიხსენოთ ბოლო წელიწად-ნახევარი და პომპეოს განცხადებები.

კონსორციუმი ასე არ დაამთავრებს ამ ყველაფერს. ბუნებრივია, დავა წარიმართება და ამ ყველაფერს ერთად თუ დავალაგებთ, ალბათ ძნელი არ უნდა იყოს იმ სკეპტიკური მოსაზრების გამოთქმა, რომ ძალიან საეჭვოა პირდაპირი უცხოური ინვესტიცია დასავლური ბაზრებიდან.

ამ შემთხვევაში არ ვსაუბრობ ჩინურ, რუსულ კონგლომერატსა და რაღაც ოფშორული ზონებიდან შემოსულ ინვესტიციებზე.

***– შემთხვევითია დროში დამთხვევა იმასთან, როდესაც ამერიკას გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხები აქვს მოსაგვარებელი? მხედველობაში მაქვს ირანთან კონფლიქტი.***

– შეიძლება, ვინმე მართლაც ასე ფიქრობს, მაგრამ, მე მგონია, რომ ძალიან ცდება ის, ვისაც ირან-ამერიკის კონფლიქტის კონტექსტში ის დასკვნა გამოაქვს, რომ ამერიკას არ სცალია საქართველოსთვის. პირიქით, ამ ყველაფერმა წარმოაჩინა, რომ ამერიკა რეგიონით არის დაინტერესებული, არა ომით, არამედ დემოკრატიის მხარდაჭერითა და გაძლიერებით, მისი ინვესტიციებისა და ინტერესების გაძლიერებით.

ამერიკა როდესაც აცხადებს თავის ინტერესებს, ის თანმიმდევრულია და იცავს კიდეც ამ ყველაფერს. შესაბამისად, პომპეოს განცხადება და ბოლოს ამერიკის განაცხადი, რომ რეგიონში სტაბილურობითა და დემოკრატიის გაძლიერებით არის დაინტერესებული და ინტენსიურად წარმართავს თავის შემდგომ ქმედებებს, იმის ილუსტრაციაა ჩემთვის, რომ ამერიკა ამ პროექტთან დაკავშირებით უარს არ იტყვის თავის სტრატეგიულ ინტერესებზე.

***– „ოცნება“ თავისი ქმედებებით ორი კურდღლის დაჭერას ხომ არ ცდილობს? მხედველობაში მაქვს, ერთი მხრივ, ანაკლიის კონსორციუმთან დაკავშირებული საკითხები, მეორე მხრივ, სასამართლო მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის წინააღმდეგ, რომელიც ყოველ 2-3 დღეში ერთხელ უნდა გაიმართოს. პოლიტიკური მოწინააღმდეგის განეიტრალების მცდელობაა?***

– თუკი ვინმემ შექმნა მამუკა ხაზარაძე ან ბადრი ჯაფარიძე, როგორც პოლიტიკოსები, ეს, პირველ რიგში, თვითონ ხელისუფლებაა. ქართული პოლიტიკური ველი კრიზისშია. ახალი სახეები რეალურად არ იყო და, ერთი მხრივ, იყო ხელისუფლება თავისი უკვე დაგროვილი ნეგატივით, ხოლო მეორე მხრივ – ყოფილი ხელისუფლება და დანარჩენი ოპოზიცია პოლიტიკური კრიზისით, სადაც არ არიან ახალი სახეები, რაც მთავარია, ე.წ. ჩამოუყალიბებელი ამომრჩეველი. ამ ფონზე და ჩვენი 25-წლიანი პოლიტიკური კულტურის განვითარების კვალობაზე საზოგადოებაში მოლოდინი იყო ძლიერი და წარმატებული პირებისა, რომლებიც შემოვიდოდნენ პოლიტიკაში და გახდებოდნენ პროცესების წარმმართველნი. ამ მოცემულობაში თუ ვინმემ ხელი შეუწყო სწორედ ძლიერისა და წარმატებულის შემოსვლას, ეს არის მამუკა ხაზარაძე.

კომპანია, რომელიც ლონდონის საფონდო ბირჟაზეა გასული, უკვე წარმატებაა, განსხვავებით მილიარდერებისგან, რომელთა საჯარო ვაჭრობაზე დაშვებული კომპანიების შესახებ არც გვსმენია. შესაბამისად, ამ ტიპის ადამიანები რომ პოლიტიკაში შემოგეყვანა და შენს ოპონენტებად გექცია, ძალიან უნდა მოგეხერხებინა და ხელისუფლებამ ეს „მოახერხა“.

ანაკლიის თემით რომ დაზიანებულიყო ხაზარაძე, ჯაფარიძე თუ კონსორციუმი, ეს გათვლა სწორი არ მგონია. ანაკლიის პროექტის ჩაგდებით სახელმწიფომ იზარალა. კვლავ ვიმეორებ, არ ვარ დარწმუნებული, ერთი წლის განმავლობაში გამოჩნდება თუ არა ვინმე, ვინც ამ პროექტით დაინტერესდება, მით უმეტეს, რომ მთავრობა რამდენიმე თვეში აღარ იქნება – გახარიას მთავრობა საპარლამენტო არჩევნების შემდგომ.

შესაბამისად, ხაზარაძისა და მისი გუნდის პოლიტიკაში შემოსვლა ზუსტად ამ ფაქტორებმა განაპირობა.

# მიაწყდებიან თუ არა საქართველოს მოქალაქეები გერმანიას?

## რას ჰპირდება ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების წარმომადგენლებს ანგელა მერკელი

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს საზოგადოება ცოტა ხნის წინ საგონებელში ჩააგდო „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილის დაპირებამ გერმანიაში დასაქმების ხელშეწყობის შესახებ.

2020 წლიდან ამგვარი პერსპექტივა ჩნდება, ოღონდ ამაში საქართველოს ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მონაწილეობა არაფერ შუაშია. უცხოელებს თავად გერმანია ეპატიჟება, თანაც საუბარია ზოგიერთი კატეგორიის კვალიფიციურ კადრებზე. მათ მოეთხოვებათ გერმანული ენის ცოდნაც.

სხვა ქვეყნები ამას სიფრთხილით ეკიდებიან. საკუთარი მოსახლეობისაგან ქვეყნის დაცლა არავის ხიბლავს. ცენტრალური აზიის სახელმწიფოებშიც კი, სადაც მოსახლეობის სიჭარბე და დიდი უმუშევრობაა, აცნობიერებენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი გადინება დამაზიანებელია.

2020 წლიდან გერმანიის ფედერაცია საკუთარი შრომის ბაზარს ხსნის. იმ სახელმწიფოების სპეციალისტებს, რომლებიც არ შედიან ევროკავშირში, გაუადვილდებათ სამუშაოს შოვნა გერმანიაში.

გერმანიის ფედერალური კანცლერი ანგელა მერკელი თავის მიმართვაში ოფიციალურად იწვევს კვალიფიციურ სპეციალისტებს გერმანიაში სამუშაოდ. მისი თქმით, ქვეყანაში მთელ რიგ საწარმოებსა და ეკონომიკის დარგებში მუშახელის დეფიციტია.

ახალი მიგრაციული კანონი წელს შევა ძალაში. ამასთან, ის თანდათან ამოქმედდება და გერმანიის სხვადასხვა ფედერალურ მიწაზე განსხვავებული იქნება.

სამუშაოს მაძიებლებს აღარ დასჭირდებათ შემოწმების გავლა შრომის ფედერალურ სააგენტოში.

მათ უფლება ეძლევათ, ნახევარი წლის განმავლობაში იყვნენ ქვეყანაში და მოძებნონ შესაფერისი სამუშაო.

83-მილიონიან მაღალგანვითარებულ გერმანიაში დივერსიფიცირებული ეკონომიკა და ბევრი საქმეა.

ბოლო წლებში, განსაკუთრებით, ევროპასთან უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ, გერმანიაში დასაქმდა უკრაინელების ნაწილი. უმრავლესობა ძიძებად, ოფიციანტებად, დამლაგებლებად მუშაობს. ბევრი მათგანი არალეგალია. ლეგალებს შორის არიან ინჟინრები, ექიმები, პროგრამისტები. ასეთი წარმატებულების რიცხვი მცირეა.

ამჟამად გერმანიაში დიდი მოთხოვნაა მშენებლებზე, ელექტრიკოსებზე, მედდებზე, მცხობელებზე. სეზონურად დეფიციტია მუშახელი მოსავლის აღებისას.

დასაქმების ერთ-ერთი პირობაა გერმანული ენის ცოდნა. ამასთან, ამ მხრივ სხვადასხვა მიდგომა იქნება. მაგალითად, ენის სრულყოფილად ცოდნა მოეთხოვებათ ექთნებს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულების მიმართ კი, სავარაუდოდ, ლოიალობას გამოიჩენენ.

გერმანიის ინიციატივამ უკვე შეაფუცხუნა პოლონეთი. მუშახელის დეფიციტს პოლონეთიც უცხოელების ხარჯზე ავსებს. პოლონეთში ქართველებიც მუშაობენ, ძირითადად – მშენებლობებზე.

იმის გამო, რომ გერმანიაში ხელფასები პოლონეთზე მაღალია, პოლონეთმა უცხოელ დასაქმებულებს სოციალური ბონუსები დაუწესა. პოლონელებს ეშინიათ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირიდან



ჩასული მუშები გერმანიაში გაექცევათ.

უკრაინაში სწორედ ამ ტენდენციის იმედი აქვთ. უკრაინელი ექსპერტების პროგნოზით, შრომის ბაზრის გახსნის შემდეგ გერმანიაში გადავლენ ევროპის ქვეყნებში მყოფი უკრაინელები. უკრაინაშიც არ აქვთ იმის სურვილი, რომ სამუშაოს მაძიებლებმა უკრაინა მასობრივად დატოვონ.

წინასაარჩევნოდ საქართველოში პარტიები, ალბათ, უკვე თავს შეიკავებენ დასაქმების ამაო დაპირებების გაცემისაგან. ბიძინა ივანიშვილს კი თავისი ოპონენტები გერმანიაში დასაქმების პერსპექტივას ბევრჯერ წამოაძახებენ.

# ადვოკატი კორძაძე: „ყველა შემმოწმებელმა თქვა, რომ ფულის გათეთრება მათ არ აღმოუჩენიათ“

## პროკურორი მიქავა: „მოწმეებმა აღნიშნეს, რომ 2008 წელს ჯაფარიძესა და ხაზარაძეს ბანკიდან ამოღებული თანხის მიღების უფლება არ ჰქონდათ“



– მოწმეებმა ცალსახად აღნიშნეს, რომ 2008 წელს ბადრი ჯაფარიძესა და მამუკა ხაზარაძეს არ ჰქონდათ ბანკიდან ამოღებული თანხის მიღების უფლება და, შესაბამისად, ისინი დაეუფლნენ ავთანდილ წერეთლის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული კომპანიების საშუალებით.

ამის შესახებ თიბისი ბანკის საქმის პროკურორმა გიორგი მიქავამ გუშინ, 9 იანვარს, ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მიქავამ აღნიშნა, სასამართლო სხდომაზე გამოკითხულმა მოწმეებმა დაადასტურეს ისიც, რომ მანამდე ინტერესთა კონფლიქტის ასეთი მსგავსი პროფილური შემოწმება ეროვნულ ბანკში არ განხორციელებულა.

– მოწმეებმა გააკეთეს მნიშვნელოვანი განმარტებები ეროვნული ბანკის შემოწმების აქტთან დაკავშირებით. მათ ცალსახად აღნიშნეს, რომ 2008 წელს ბადრი ჯაფარიძეს და მამუკა ხაზარაძეს არ ჰქონდათ ბანკიდან ამოღებული თანხის მიღების უფლება და ისინი დაეუფლნენ ავთანდილ წერეთლის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული კომპანიების საშუალებით.

აღნიშნული პასუხს სცემს კითხვას იმაზე, თუ რატომ იქნა შერჩეული ავთანდილ წერეთლის მფლობელობაში არსებული კომპანიები და რატომ წარუდგინეს ბანკს არასწორი ინფორმაცია, თითქოსდა აღნიშნული თანხა სჭირდებოდა კომპანიებს.

მეორე ფაქტობრივი გარემოება იყო მიზნობრიობასთან დაკავშირებით, სადაც ამ მოწმეებმა ცალსახად განმარტეს, რომ ბანკისგან დაუფლებული თანხის იმავე დღეს გადასესხება სხვა პირზე არ შედიოდა საბრუნავი საშუალებების მიზნობრიობაში, როდესაც ერთ შემთხვევაში კომპანიის პროფილური ბიზნესი იყო სამშენებლო საქმიანობა, მეორე შემთხვევაში კი – ხორცპროდუქტებით ვაჭრობა და სხვა კომერციული საქმიანობა.

ასევე მათ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთეს იმაზე, რომ იმ მომენტში დარღვეულ იქნა „გაშლილი მკლავის“ პრინციპი უზრუნველყოფის საშუალებებთან დაკავშირებით, რადგან ნაცვლად იმისა, რომ ბანკს გაეტარებინა ქმედითი ნაბიჯები აღნიშნული თანხის დასაბრუნებლად, კერძოდ, უზრუნველყოფის საშუალებების აღსასრულებლად მისაქცევად, პირიქით მოხდა, ბანკს დაეკარგა ყველა რესურსი იმისთვის, რომ მოეხდინა ამ თანხის ამოღება.

მათ დაადასტურეს, რომ კრებსითად ბანკმა განიცადა დაახლოებით, 28 მილიონი ლარის, 16,5 მილიონი დოლარის ზიანი, – განაცხადა გიორგი მიქავამ.

მისივე თქმით, ეროვნული ბანკის აღნიშნული დასკვნა და შემოწმება არის მნიშვნელოვანი იმდენად, რამდენადაც ის ინტერესთა კონფლიქტს ეხება.

– შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტში პირდაპირ იკვეთება, რომ ეს ავთანდილ წერეთლის კომპანიები პირდაპირ იყო დაკავშირებული მამუკა ხაზარაძესთან და ბადრი ჯაფარიძესთან. ეს გახდა ერთ-ერთი საფუძველი შემდგომში მათთვის სანქციების დაწესების.

გარდა ამისა, საქმეში არსებობს სხვა რამდენიმე გარემოება და მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს იმას, მოხდა თუ არა თაღლითობა და დანაშაულებრივად მითვისებული თანხის ფორმალური და ფიქტიური სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მისი გათეთრება.

ფაქტებს სჭირდება შეფასება, რასაც აკეთებს ბრალდების მხარე და საბოლოო ჯამში უნდა გააკეთოს სასამართლომ. მაგრამ ჩვენ ვამბობთ იმას, რომ ამ შემოწმების აქტში არსებული გარემოებები იძლევა იმის საშუალებას, რომ ადგილი ჰქონდა ბანკისგან მოტყუებით თანხის თაღლითურად დაუფლებას, რომელიც შემდეგში ფიქტიური სესხის ხელშეკრულების და სხვა ტრანზაქციების განხორციელების საფუძველზე მოხდა მისი გათეთრება, – აღნიშნა პროკურორმა.

განსხვავებული მოსაზრება აქვს ადვოკატ ზვიად კორძაძეს.

– სამართალი რომ იყოს, სასამართლო პროცესი საერთოდ უნდა დამთავრებულიყო, – განაცხადა მან.

კორძაძის აზრით, დაკითხულმა მოწმეებმა განაცხადეს, რომ მათ ფულის გათეთრება არ აღმოუჩენიათ.

– წინა სხდომაზე და დღევანდელ სხდომაზე 4 შემმოწმებელი დაიკითხა იმ აქტის გარშემო, რომელიც იდეაში, ამ საქმის საფუძველია. სამართალი რომ იყოს, დღეს სასამართლო პროცესი საერთოდ უნდა დამთავრებულიყო, იმიტომ, რომ ბრალდების ყველაზე მნიშვნელოვანმა მოწმეებმა თქვეს შემდეგი რამ, რომ არსად არ ფიქსირდება მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის ხელმოწერა სესხის გაცემის დროს, არსად არ ფიქსირდება მათი გადაწყვეტილება და რამე ჩარევა სესხის გაცემასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ სიტყვა სესხის ჩამოწერა თურმე სწორი ტერმინი არ ყოფილა და სესხი გარესაბალანსო ანგარიშზე გავიდა და არავის არავისთვის სესხი არ უპატიებია.

აღმოჩნდა, რომ ოფშორულ კომპანიას ფული კი არ წაუღია, პირიქით, შემოუტანია და ამით დახმარებია თიბისი ბანკს, რომ მომხდარიყო აღდგენა ხანდაზმულობის ვადის. აღმოჩნდა ისიც, რომ ჩამოწერილი ყოფილა არამარტო ეს სესხი, არამედ სხვა სესხებიც 2008 წლის ომის შემდეგ.

ყველა შემმოწმებელმა თქვა, რომ ფულის გათეთრება მათ არ აღმოუჩენიათ, უფრო მეტიც, მათ თქვეს, რომ აღმოეჩინათ ფულის გათეთრება, ისინი ვალდებული იყვნენ ამასთან დაკავშირებით დაეფიქსირებინათ, რაც არ მომხდარა.

შესაბამისად, ამ დაკითხვების დროს სახეზე ძალიან მარტივი რამ გვქონდა, შემმოწმებლებმა თქვეს, რომ მათი აზრით დარღვეულია მხოლოდ კონკრეტული რეგულაციები, მათ მეტი არც არაფერი შეუსწავლიათ, რაც მხოლოდ და მხოლოდ ინსაიდერებზე სესხის გაცემას ეხებოდა, ამისთვის თიბისი ბანკი დაჯარიმდა.

შესაბამისად, ეს მოწმეები ბრალდების მხარეს თავის მოწმეებად როგორ მიაჩნია და რატომ აქვს იმედი, რომ ამ მოწმეების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოვა, ჩემთვის გაუგებარია.

ძალიან ნიშანდობლივი და საინტერესოა ის ფაქტი, რომ ოთხივე შემმოწმებელმა დააფიქსირა, რომ არ ჰქონიათ პრაქტიკაში, რომ 11 წლის წინანდელი ტრანზაქციები შეემოწმებინათ, ასევე დააფიქსირეს, რომ არ ჰქონიათ პრაქტიკაში, რომ მათ მიერ ასეთ საკითხებზე შემოწმების შემდეგ საქმე წასულიყო სისხლის სამართლის კუთხით, – განაცხადა ადვოკატმა კორძაძემ.

თიბისი ბანკის საქმეზე შემდეგი სასამართლო პროცესი 14 იანვარს, 11:00 საათზე გაიმართება.

# „გამომძიებელმა იცის, რომ მიხეილ კალანდია და მისი მამა ცემეს“

## კალანდიას ადვოკატი გამომძიებლის წინააღმდეგ საქმის აღძვრას ითხოვს



– ამ ეტაპისთვის ძალიან გამიჭირდება ვთქვა, რომ მოწმის ჩვენებაში რამე უზუსტობაა, რადგან გამომძიებელმა დაადასტურა, რომ მის მიერ საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა კანონის სრული შესაბამისობით.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის ბრალდებით დაკავებული მიხეილ კალანდიას საქმის პროკურორმა მირიან მეგრელიშვილმა პროცესის დასრულების შემდეგ კალანდიას მიერ ერთ-ერთი გამომძიებლის წინააღმდეგ საქმის აღძვრის მოთხოვნასთან დაკავშირებით განუცხადა.

მისი თქმით, ბრალდების მხარე მზად არის, რომ ნებისმიერ სავარაუდო კანონდარღვევაზე ობიექტური რეაგირება მოახდინოს.

– დღევანდელ პროცესზე ბრალდების მხარის 4 მოწმე დაიკითხა და წერილობითი მტკიცებულებები იქნა გამოკვლეული. ექსპერტებმა დაადასტურეს მათ მიერ გაცემული დასკვნის ნამდვილობა და ამ დასკვნის ირგვლივ მხარეთა შეკითხვებს უპასუხეს. გამომძიებლებმა დაადასტურეს მათ მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების კანონშესაბამისობა და ავთენტურობა.

დაცვის მხარეს გაუჩნდა პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს ერთ-ერთი გამომძიებელი არასწორ ინფორმაციას აწვდიდა სასამართლოს. საქმე იმაშია, რომ რასაკვირველია, შეუძლებელია, ვთქვა რომელიმე მოწმის ჩვენების სანდოობაზე, თუმცა მოწმის ჩვენების სანდოობა უნდა შეფასდეს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში.

ამ ეტაპისთვის ძალიან გამიჭირდება ვთქვა, რომ მოწმის ჩვენებაში რამე უზუსტობაა იმიტომ, რომ გამომძიებელმა დაადასტურა, რომ მის მიერ საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა კანონის სრული შესაბამისობით. ბრალდების მხარე მზად არის, რომ ნებისმიერ სავარაუდო კანონდარღვევაზე ობიექტური რეაგირება მოახდინოს, თუმცა ამ ეტაპზე ამის შეფასება შეუძლებელია, – განაცხადა პროკურორმა.

რაც შეეხება გამოკითხვის დროს მიხეილ კალანდიასა და მამამისის ცემას, პროკურორის განმარტებით, „მის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში აღნიშნული გარემოებები არ გამოკვეთილა“.

– შესაბამისად, მე მოკლებული ვარ შესაძლებლობას, რომ მოგაწოდოთ ინფორმაცია სხვა დანაყოფებში მიმდინარე პროცესების შესახებ, თუმცა, როგორც მოგახსენებთ, ჩემს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მსგავსი რამ არ გამოკვეთილა, – აღნიშნა პროკურორმა.

კალანდიას ადვოკატ ზურაბ თოდუას განცხადებით, გამომძიებლები ცრუ ჩვენებას იძლევიან.

მისივე მტკიცებით, დაკითხული გამომძიებელი კალანდიას ცემაზე ინფორმაციას ფლობს.

– გამომძიებლები აშკარად ცრუ ჩვენებას იძლევიან, გვატყუებენ, რეალობასთან შეუსაბამო ინფორმაციას გვაწვდიან იმ ნაწილში, რომ მიხეილ კალანდიას და სხვა არასრულწლოვნების მიმართ ხდებოდა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული პირობების დარღვევა და ადგილი ჰქონდა არასრულწლოვნების ღამის საათებში დაკითხვას, ცემას მშობლების თანდასწრებით და მშობლების ცემასაც.

ის მოწმე, რომელიც ბოლოს დავკითხეთ, თურმე დაწინაურებულა პოლიციის აკადემიაში, ის უშუალოდ ფლობს ინფორმაციას, რომ ნამდვილად ჰქონდა ადგილი მიხეილ კალანდიას და მისი მამის ცემას, – განაცხადა ადვოკატმა.

მისივე თქმით, ექსპერტების ჩვენებით გაირკვა, რომ დროული დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელი იყო, რომ დავით სარალიძის ბედი ფატალურად არ დამთავრებულიყო.

გუშინ, 9 იანვარს, სასამართლო პროცესზე მიხეილ კალანდიამ პროკურორს მოუწოდა, ერთ-ერთი გამომძიებლის წინააღმდეგ საქმე აღიძრას. კალანდიას მტკიცებით, გამომძიებელმა დაკითხვაზე არაერთხელ იცრუა.

საქმეზე მორიგი სასამართლო სხდომა 10 იანვარს, 15:00 საათზე გაიმართება.

# „დანა დავარტყი, მაგრამ, არ მახსოვს, რამდენჯერ და სად“

## რაჯი ბერულავა ჯამბულ ნაჭყებიამ ეჭვიანობის გამო მოკლა?



დაპირისპირება მარტვილის რაიონის სოფელ ტალერში შობის ღამეს გაშლილ სუფრასთან დაიწყო.

მკვლელობაში ბრალდებულის დედა იხსენებს, რომ სტუმრად მყოფმა რაჯი ბერულავამ მის შვილს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა რამდენიმეჯერ მიაყენა, რის შემდეგაც კონფლიქტი უკვე ნაჭყებიების სახლის ეზოში გაგრძელდა. ცივი იარაღით დაჭრილი ბერულავა საავადმყოფოში გადაყვანამდე გარდაიცვალა.

მკვლელობის სავარაუდო მიზეზად ეჭვიანობას ასახელებს ნაჭყებიების მეზობლების ნაწილი. მკვლელობაში ბრალდებულის თანასოფლელები „კურიერთან“ ყვებიან, რომ საქართველოში ერთი თვის წინ დაბრუნებულ ჯამბულ ნაჭყებიას რაჯი ბერულავასთან კონფლიქტი ეჭვიანობის ნიადაგზე ადრეც მოსვლია.

დაპირისპირების მიზეზად ეჭვიანობას გამორიცხავენ მოკლულის ახლობლები. რაჯი ბერულავას ოჯახის ახლობლების თქმით, გარდაცვლილსა და მკვლელობაში ბრალდებულის ოჯახებს შორის ნათესაური კავშირი არსებობდა. ოჯახის წევრებისთვის ტრაგედიის რეალური მიზეზი გაურკვეველია.

39 წლის რაჯი ბერულავას მკვლელობის ბრალდებით სამართალდამცველებმა 60 წლის ჯამბულ ნაჭყებია 7 იანვარს ღამითვე დააკავეს.

გუშინ, 9 იანვარს, ჯამბულ ნაჭყებიას ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას პროკურატურა ითხოვდა.

პროკურორ ლევან ფიფიას განმარტებით, ბრალდებულმა სამზარეულოს დანის გამოყენებით განზრახ მკვლელობა ჩაიდინა და მის მიმართ პატიმრობის გამოყენება აუცილებელია.

ფიფიამ მიმალვის, მტკიცებულებების განადგურებისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეებზე ისაუბრა.

თავად დაკავებული ბრალს აღიარებს, მაგრამ ამბობს, რომ განზრახ მკვლელობა არ ყოფილა და ის თავს იცავდა.

– შობის ღამეს მოვიდნენ ჩემთან. ორნი იყვნენ. გარდაცვლილმა დალია 4-5 ჭიქა, რის შემდეგაც დაიწყო ჩემი ოჯახის საქმის გარჩევა, რატომ ცხოვრობ საზღვარგარეთ, როდესაც შენი ცოლი აქ მარტო წვალობსო. ამაზე წავკინკლავდით, მერე წავიდნენ. ცოტა ხანში ეს დაბრუნდა მარტო. დედაჩემმა უთხრა, წადი აწი შვილო სახლშიო, მან ხელი ჰკრა და შეაგინა მოხუცს. მერე მე დამიძახა, მოდი აქო და მეც მაგინა.

განერვიულებულმა რა ავიღე ხელში, არც მახსოვს. შეშინება მინდოდა. წადი, თორემ მოგკლავ მეთქი, ამ დროს ის ყელში მწვდა, დავარტყი, მაგრამ არ მახსოვს, რამდენჯერ და სად, – თქვა დაკავებულმა.

დაცვის მხარე ბრალდებულისთვის 10.000 ლარი გირაოს შეფარდებას ითხოვდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# მურად წურწუმიას მკვლელობისთვის დაკავებულ ზურაბ ფოფხაძეს ბრალი დაუმძიმდა



დამპალოს სასაფლაოზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე დაკავებულ სპეცრაზმელ ზურაბ ფოფხაძეს ბრალი დაუმძიმდა.

ამის შესახებ პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი:

„გარდაცვლილი მურად წურწუმიას საქმეზე, ზ.ფ.-ს ბრალის დაზუსტების შედეგად, დაუმძიმდა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117 -ე მუხლის მეექვსე ნაწილით და სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 8-დან 11 წლამდე.

ბრალდებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა 5 იანვარს დააკავეს. პროკურატურის შუამდგომლობით, ზ.ფ. გადაყენებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსის თანამდებობიდან და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა“.

# ტრამპი: „ირანს ატომური იარაღის ქონის უფლება არასდროს მიეცემა“




ირანის მიერ განხორციელებული თავდასხმის შედეგად არც ერთი ამერიკელი არ დაღუპულა.

ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 8 იანვარს სიტყვით გამოსვლისას, ირანის მიერ ერაყში აშშ-ის სამხედრო ბაზებზე განხორციელებული სარაკეტო თავდასხმის კომენტირებისას განაცხადა.

— მანამ, სანამ მე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვარ, ირანს არასდროს მიეცემა ატომური იარაღის ქონის უფლება.

დილა მშვიდობისა. მოხარული ვარ გაცნობოთ, ამერიკელი ხალხი უკიდურესად მადლიერი და ბედნიერი უნდა იყოს — ამერიკელები ირანის რეჟიმის წუხანდელი შეტევის დროს არ დაშავებულან. დანაკარგები არ განგვიცდია, ყველა ჩვენი ჯარისკაცი უსაფრთხოდაა და ჩვენს სამხედრო ბაზებს მხოლოდ მინიმალური ზიანი მიადგა, — განაცხადა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, თუ ირანი აგრესიას გააგრძელებს, აშშ ირანულ რეჟიმს დაუყოვნებლივ სადამსჯელო ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებს და ეს სანქციები მანამ გაგრძელდება, სანამ ირანი ქცევას არ შეცვლის.

— ირანი ტერორიზმის წამყვანი სპონსორია. ბირთვული იარაღი საფრთხეს უქმნის ცივილიზებულ მსოფლიოს. ამას არასდროს დავუშვებთ. გასულ კვირას მივიღეთ გადამწყვეტი ზომა, შეგვეჩერებინა ყველაზე დაუნდობელი ტერორისტი, რომელიც ამერიკელების სიცოცხლეს უქმნიდა საფრთხეს.

ჩემი მითითებით აშშ-ის სამხედროებმა მოახდინეს ტერორისტ ქასემ სოლეიმანის ლიკვიდაცია, რომელიც ბევრ საშინელებაზეა პასუხისმგებელი. ის წვრთნიდა ტერორისტულ დაჯგუფებებს, მათ შორის ჰეზბოლას. ბოლო პერიოდში ჩვენზე თავდასხმები სწორედ მისი მითითებით განხორციელდა.

ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის დროს ერთი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა, მეორე კი მძიმედ დაშავდა. ის ხელმძღვანელობდა აშშ-ის საელჩოზე განხორციელებულ ძალადობრივ თავდასხმასაც.

ის უახლოეს მომავალში ბაღდადში ამერიკელებზე თავდასხმას გეგმავდა. მას ხელები ჰქონდა გასვრილი როგორც ირანელების, ასევე ამერიკელების სისხლით. ის დიდი ხნის წინ უნდა მოგვეშორებინა. მისი ლიკვიდაციით ჩვენ ძლიერი მესიჯი გავუგზავნეთ ტერორისტებს, — განაცხადა ტრამპმა.

მან ნატოს წევრ ქვეყნებს რეგიონში მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა.

— ამერიკა ძლიერია და ჩვენი რაკეტები დიდია და ზუსტი. მათი გამოყენება არ გვსურს. ჩვენ მოვკალით ალ-ბაღდადი, რომელიც იყო მონსტრი და ხოცავდა ბევრ ადამიანს. ჩვენ ასევე ათობით ათასი აისისის წევრი დავხოცეთ.

დონალდ ტრამპმა 2015 წელს გაფორმებული ბირთვული შეთანხმებაც ახსენა და გაერთიანებულ სამეფოს, საფრანგეთსა და ჩინეთს ხელშეკრულების დატოვებისკენ მოუწოდა.

— ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ ირანთან ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლად, რომელიც მსოფლიოს უფრო უსაფრთხოსა და მშვიდობიანს გახდის, — განაცხადა ტრამპმა.

# უკრაინული თვითმფრინავი რუსულმა რაკეტამ ჩამოაგდო?



უკრაინელი ექსპერტები განიხილავენ ბოინგ-737-ის რუსული „ტორის“ ტიპის რაკეტით ჩამოგდების ვერსიას.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანმა ალექსეი დანილოვმა განაცხადა.

ალექსეი დანილოვის განცხადებას რუსული მედიაც აქვეყნებს.

— განიხილება თვითმფრინავის უეცარი ჩამოვარდნის სხვადასხვა ვერსია, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი საზენიტო სარაკეტო სისტემით, რუსული „ტორის“ ტიპის რაკეტით ჩამოგდების ვერსია, რადგანაც ინტერნეტში უკვე გავრცელდა ინფორმაცია კატასტროფის ადგილთან რუსული რაკეტის ნამსხვრევების პოვნის შესახებ, ასევე შეჯახება უპილოტო საფრენ აპარატთან ან სხვა მფრინავ ობიექტთან, ძრავის აფეთქება ტექნიკური მიზეზების გამო და თვითმფრინავის შიგნით აფეთქება ტერორისტული აქტის შედეგად, — განაცხადა ალექსეი დანილოვმა.

ირანული გამოძიების თანახმად, ბოინგ-737 ცდილობდა, აეროპორტში დაბრუნებულიყო. ირანის სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ალი აბედზადეჰი აცხადებს, რომ როცა კატასტროფა მოხდა თვითმფრინავი მარჯვნივ მოტრიალდა და უკან, აეროპორტისკენ მოემართებოდა.

მისივე თქმით, ხომალდის მფრინავებს დაშვების ან პრობლემის შესახებ არანაირი საგანგებო შეტყობინება არ გაუგზავნიათ.

გუშინ, 9 იანვარს, ირანულმა მხარემ თვითმფრინავის კატასტროფის პირველადი ანგარიში გამოაქვეყნა.

ანგარიშში წერია, რომ ხომალდს ცეცხლი ცაშივე წაეკიდა.

8 იანვარს ირანში „უკრაინის საერთაშორისო ავიახაზების“ კუთვნილმა ბოინგ-737-ის ტიპის თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა. 176 ადამიანი დაიღუპა. ისინი ყველანი ბორტზე იმყოფებოდნენ.

# მაიკ პენსი: „ირანი თავის მოკავშირეებს სთხოვს, ამერიკის პოზიციებს თავს არ დაესხან“



ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტ მაიკ პენსის თქმით, ვაშინგტონმა მიიღო დაზვერვის ინფორმაცია, რომ ირანი თავის მოკავშირე დაჯგუფებებს სთხოვს, თავს არ დაესხან შეერთებული შტატების პოზიციებს.

— ჩვენ ვიღებთ გარკვეულ დამაიმედებელ სადაზვერვო ინფორმაციას, რომ ირანი თავის მოკავშირე დაჯგუფებებს უგზავნის შეტყობინებას, არ იმოქმედონ ამერიკული სამიზნეების ან მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ. ვიმედოვნებთ, რომ მსგავსი ქმედებები გაგრძელდება, — განაცხადა პენსმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# პრინცმა ჰარიმ და მეგან მარკლმა სამეფო უფლებამოსილებაზე უარი განაცხადეს



პრინცმა ჰარიმ და მეგან მარკლმა სამეფო ოჯახის წევრობაზე უარი განაცხადეს. ამის შესახებ მათ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე დაწერეს.

წყვილმა განაცხადა, რომ მომავალში სამეფო ოჯახს აღარ წარმოადგენენ ოფიციალურ ღონისძიებებზე, მაგრამ, ამავე დროს, გააგრძელებენ დედოფლისთვის სრულ მხარდაჭერასა და დედოფლისა და გაერთიანებული სამეფოს წინაშე საკუთარი ვალდებულებების შესრულებას.

მათ სრული ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვება და საქველმოქმედო ორგანიზაციების დაარსება აქვთ დაგეგმილი. ისინი მონაცვლეობით იცხოვრებენ დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში.

სასექსის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას გადაწყვეტილების თაობაზე განცხადება გაავრცელა ბუკინჰემის სასახლემ. მასში ნათქვამია, რომ სამეფო სასახლე პრინც ჰარისა და მისი მეუღლის გეგმების თაობაზე საქმის კურსში იყო. მათ ქმედებაზე მსჯელობა ჯერჯერობით ადრეულ სტადიაშია. ასევე სამეფო სასახლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წყვილის სურვილი, უარი თქვას სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე და დამოუკიდებლად გამოიმუშაოს ფული, „ქმნის პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტასაც დრო დასჭირდება“.

# პოლიციამ დამნაშავეს ინსტაგრამის წყალობით მიაგნო

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ორლანდოში პოლიციამ მიმალვაში მყოფი დამნაშავე მის მიერ წარმოებული ინსტაგრამ ტრანსლაციის დახმარებით გამოთვალა.

20 წლის კევინ გეინსი ექვსი კვირა მთელი რიგი ბრალდებებით პოლიციის მიერ ძებნაში იმყოფებოდა. მას ასევე ბრალად ედებოდა მანქანის გატაცება და სროლა.

დეკემბრის ბოლოს პოლიციელმა გეინსის ავტომობილი ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლთან შენიშნა და დახმარება გამოიძახა. ფანრებით აღჭურვილი პოლიციელები ტერიტორიაზე შევიდნენ, პარალელურად გეიტსის ინსტაგრამ აკაუნტს მიაგნეს და მისი პირდაპირი ტრანსლირება ჩართეს.

ერთ-ერთმა პოლიციელმა ფანჯარაში ფანარი შეანათა და მისი შუქი ეთერში გამოჩნდა. შემდეგ ტრანსლაცია მოულოდნელად შეწყდა. მაშინ პოლიციელები ოპერატიულად შეიჭრნენ შენობაში და გეინსი დააკავეს. ის გირაოთი განთავისუფლების უფლების გარეშეა დაკავებული. მის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს.

# ცოლის საშობაო საჩუქარმა მამაკაცი გაამდიდრა




ამერიკის მერილენდის შტატის ტოლბოტის ოლქის მკვიდრმა ქალბატონმა ქმარს შობის დღესასწაულზე ლატარიის ბილეთი აჩუქა, რომელიც მომგებიანი გამოდგა.

51 წლის დეირდე სტოუკსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლატარიის ბილეთებს ნათესავებისა და ახლობლებისთვის მხოლოდ საშობაო საჩუქრის რანგში ყიდულობდა.

— ამჯერადაც რამდენიმე ბილეთი ვიყიდე, — იხსენებს ქალი, — ხოლო მეუღლისთვის ნაჩუქარი ერთ-ერთი მათგანი იღბლიანი გამოდგა.

ცოლის მიერ ნაჩუქარმა ბილეთმა მამაკაცი მოულოდნელად 50 ათასი დოლარით გაამდიდრა.

— როდესაც ქმარმა ბილეთის დამცავი შრე გადაფხიკა და მითხრა, რომ 50 ათასი დოლარი მოვიგეთ, ვიფიქრე, რომ ის ხუმრობდა ან არასწორად შეამოწმა შედეგები, — განაცხადა სტოუკსმა, — უბრალოდ, ვერ ვიჯერებდი.

მისი თქმით, აღნიშნული მოგება მათ ოჯახს დღესასწაულის დღეებში გაწეული ხარჯების შემდეგ ბიუჯეტის შევსებაში დაეხმარება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცებისგაჯანსაღებისცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე ზურაბ აქირთავა, შვილები დათო და გიორგი აქირთავები, დედამთილი თინა ჭანტურია, რძალი თეონა პაპავა, შვილიშვილები ანა და გიორგი, მაზლი მერაბ აქირთავა, რძალი მანანა ფაილოძე, მაზლისშვილები ნინო და თინიკო, დეიდა თამარ ჩიქოვანი, მძახლები ავთო პაპავა და თამარ გერაძე, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და უახლოესი ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნატო ლეჟავა-აქირთავა**

პანაშვიდი: 10, 11 იანვარს;
მისამართი: ვარკეთილი 3, III მ/რ, 305ა კორპუსი, VII სართული;
გამოსვენება: კვირას, 12 იანვარს, 15 საათზე, ილია მართლის სახელობის ტაძრიდან (მისამართი: ვარკეთილი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა №42).

---

ვალერი და დოდო აბრალავები თანაგრძნობას უცხადებენ ზურაბ, დათო და გიორგი აქირთავებს მეუღლისა და დედის

**ნატო ლეჟავა-აქირთავას**

გარდაცვალების გამო.

---

თსუ სააღრიცხვო ეკონომიკური ფაკულტეტის მრეწველობის „ა“ ჯგუფის 1979 წლის კურსდამთავრებულები თანაგრძნობას უცხადებენ ზურაბ აქირთავას მეუღლის

**ნატო ლეჟავა-აქირთავას**

გარდაცვალების გამო.

---

## კახა შარაბიძე



გარდაიცვალა კ. გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი და მსახიობი კახა შარაბიძე. იგი დაიბადა 1963 წლის 10 ივნისს. 1984 წ. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დრამის ფაკულტეტი, თეატრისა და კინოს მსახიობის სპეციალობით, 2017 წლიდან კი სოხუმის თეატრის დირექტორია. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: კოკა (ნ. დუმბაძის „ჰელადოს“), ზურიკელა (ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), სანდრო (გ. ქავთარაძის, რ. სტურუას „ბრალდება“), მურმანი (ა. ჩხაიძის „ვაცხადებ დახურულად“), ბურდღუ (კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“), გოგა, გვანჯი აფაქიძე (კ. გამსახურდიას „მუნჯის სიზმრები“, „მთვარის მოტაცება“), როსტომ ვალერიანოვიჩი (ლ. იმედაშვილის „იესოს საქმე“); მონაწილეობდა ფილმებში: „ფილიალი“, „მაზეპა“, „მგლების ზონა“ („ბელორუსფილმი“), „რისთვის, ღმერთო“, „ჰეროკრატია“, „ჩემი ცოლის დაქალები“ და სხვ.

კახა შარაბიძე გამოირჩეოდა პროფესიონალიზმითა და ადმინისტრაციული საქმიანობის ნიჭით, მეგობრებისადმი გულისხმიერებითა და საოცარი თბილი ურთიერთობებით. თეატრისთვის დიდი დანაკლისია ასეთი პიროვნების დაკარგვა, რომელიც იმედად ედგა დასს შემოქმედებითი და საორგანიზაციო საკითხების განხორციელებაში.

*კ. გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი*

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

**ია ჭანტურია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. სალათი; 2. იყალთო; 3. პანდემია; 4. ახტალა; 6. ზედაზენი; 8. ანზორი; 11. კარაბინი; 12. ფოლორცი; 16. პენსი; 17. მყესი; 18. დგუში.

**თარაზულად**: 1. სპრინტი; 5. დიეზი; 7. კალმახი; 9. აფალინა; 10. იავნანა; 13. რევიზია; 14. ვარანი; 15. ხოკუ; 19. ჰონვედი; 20. წყალტუბო; 21. შიომღვიმე; 22. ჟირაფი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ხატწერა; 2. სფერო; 3. სიბარიტი; 4. გოდერძი; 5. კალვადოსი; 9. გლაქსო; 12. სტალონე; 14. აწყური; 15. ევრო; 17. დრონი; 18. ჯანი.

**თარაზულად**: 6. ზარაფი; 7. ბიოლოგია; 8. მწყერი; 10. ბრაგა; 11. ჰაუპტვახტი; 13. პამპერსი; 16. ეტიუდი; 19. ავტობანი; 20. პიტიუნტი.

# ხელბურთელთა ნაკრები იტალიაში გაემგზავრა



ხელბურთის ეროვნული ნაკრები ბენევენტოში მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე იასპარეზებს, პირველ შეხვედრას კი 10 იანვარს რუმინეთთან გამართავს. მატჩი თბილისის დროით 18:00 საათზე დაიწყება. შაბათს, 11 იანვარს, საქართველოს ნაკრები იტალიას ეთამაშება, კვირას კი – კოსოვოს. მომდევნო ეტაპზე, ანუ პლეიოფში მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გავა. საქართველოს ნაკრები 14 იანვარს დაბრუნდება თბილისში და მზადებას დაიწყებს უკვე ევრო 2022-ის პლეიოფისთვის. 16 და 19 იანვარს 2 მატჩია ფინეთთან. სკანდინავიელებთან მოგების შემთხვევაში საქართველოს ნაკრები 2020 წლის ოქტომბერში ევროპის ჩემპიონატის მთავარ შესარჩევ რაუნდს დაიწყებს ევროპის უძლიერეს 31 გუნდთან ერთად.

იტალიაში გამგზავრების წინ გუნდმა ბოლო ვარჯიში თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გამართა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა საბოლოო შემადგენლობა დაასახელეს. იტალიაში მიმავალი 16 ხელბურთელიდან 15-მა ივარჯიშა, ირაკლი ჩიქოვანი კი წვრთნას გუნდის ექიმ დრაგან ილიჩთან ერთად აკვირდებოდა. ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს მცირე ტრავმა აქვს.

**ბექა ორჯონიკიძე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:**

– მზადება ნაყოფიერი იყო. ერთადერთი, ჩიქოვანის ტრავმა გვაფიქრებს, თუმცა, იმედი გვაქვს, რომ ირაკლი იტალიაში თამაშს შეძლებს. მეტოქეებს კარგად ვიცნობთ. ვარჯიშებთან ერთად გვქონდა თეორიული მეცადინეობები, ვნახეთ იტალიის, რუმინეთისა და ფინეთის ბოლო მატჩები, ნიკოლა მაქსიმოვიჩმა და დრაგან ჯუკიჩმა კი მეტოქე ხელბურთელების ინდივიდუალური დოსიეები შეადგინეს. განსაკუთრებული ყურადღება ფინეთის გუნდს მივაქციეთ. ჩვენთვის ორივე ტურნირი მნიშვნელოვანია, მაგრამ ფინეთთან პლეიოფს მაინც უფრო დიდ ყურადღებას ვაქცევთ, რადგანაც მისმა შედეგმა უნდა განსაზღვროს ჩვენი გუნდის მომავალი ასპარეზი. აუცილებლად უნდა ვითამაშოთ ევროპის ჩემპიონატის მთავარ შესარჩევ რაუნდში და ამით უნდა დავბრუნდეთ სახელბურთო ელიტაში. ვფიქრობ, რომ ჩვენი გუნდი ამისთვის მზადაა. რა თქმა უნდა, საბრძოლველად მივდივართ იტალიაშიც და არც იქ გამარჯვებაზე ვიტყვით უარს.

**საქართველოს ნაკრების საბოლოო შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები**: შოთა თევზაძე (რეშიცა, რუმინეთი), ზურაბ ცინცაძე (იმედი-სტუ);

**მოედნის მოთამაშეები**: ხაზეინ რუსტამოვი (ქუთაისი), გიორგი მიქავა, ზურაბ აბრამიშვილი, ირაკლი გოგოლაძე (ბათუმი), ირაკლი ჩიქოვანი (კონსტანცა, რუმინეთი), ირაკლი კბილაშვილი (მეტალურგი, ჩრდ.მაკედონია), თეიმურაზ ორჯონიკიძე (ოროშჰაზი, უნგრეთი), ლექსო წითელიშვილი (ოჰრიდი, მაკედონია), ნიკოლოზ კალანდაძე (შამბერი, საფრანგეთი), გიორგი ცხოვრებაძე (მონპელიე, საფრანგეთი), გიორგი დიხამინჯია, რევაზ ჭანტურია (მეტალურგი, ჩრდ.მაკედონია), ერეკლე არსენაშვილი (ბრაგა, პორტუგალია), უჩა მაისურაძე.

# ქართველი კალათბურთელების მწირი მონაგარი



ჯ ლიგაში შესრულებული ორმაგი დუბლის შემდეგ ინდიანა პეისერსში დაბრუნებული გოგა ბითაძე მაიამისთან შეხვედრაში 2 წუთი და 40 წამი ათამაშეს. 20 წლის ქართველმა ცენტრმა ამ მცირე დროში 2 საჯარიმოს სროლა მოასწრო და ორივე ზუსტი გახლდათ. გოგას 1 მოხსნაც ჰქონდა.

აღმოსავლეთ კონფერენციის მეორეადგილოსან მაიამისთან ბითაძის პეისერსი 108:122 დამარცხდა. მაიამი, ფაქტობრივად, მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდა. პეისერსმა ჰიტს პრობლემები ვერ შეუქმნა. იყო მომენტი, როცა მაიამი თამაშს 31-ქულიანი უპირატესობითაც კი იგებდა. ჰიტიდან ერთდროულად 7-მა მოთამაშემ შეძლო მინიმუმ 14 ქულის ჩაგდება.

ინდიანასთვის ეს 38 მატჩში მე-15 წაგებაა და გოგას გუნდი 23 მოგებით მე-6 ადგილზეა (ფილადელფიას 1 მოგებით ჩამორჩება). მე-9 ადგილზე მყოფ შარლოტს, რომელიც პლეიოფის ზონასთან ყველაზე ახლოსაა, პეისერსი 8 მოგებით უსწრებს.

გოგა ბითაძის ინდიანა პეისერსი მომდევნო მატჩს სტუმრად, ჩიკაგოსთან გამართავს.

გიორგი შერმადინის ტენერიფე ფიბას ჩემპიონთა ლიგაში წარმატებულ ასპარეზობას აგრძელებს. ესპანური კლუბი ამჯერად ბერძნულ პერისტერის ესტუმრა და 80:54 იმარჯვა.

ტენერიფე თავიდანვე დიდი უპირატესობით დაწინაურდა და გასაკვირი არ ყოფილა, რომ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჩუს ვიდორეტამ ქართველი ცენტრი ჩვეულად დიდხანს არ დატვირთა. შერმადინი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 19 წუთში 8 ქულა და 4 მოხსნა მოაგროვა. გიორგიმ 4-დან 2 ორქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო.

იბეროსტარის რიგებში საუკეთესო ბრაზილიელი გამთამაშებელი მარსელინიო უერტასი იყო, რომელმაც ორმაგი დუბლი შეასრულა – 11 ქულა, 10 პასი.

ტენერიფე ჩემპიონთა ლიგის ც ჯგუფში ლიდერობას ინარჩუნებს, მომდევნო მატჩს კი შინ, მე-2 ადგილზე მყოფ ჩეხურ ნიმბურკთან გამართავს.

# აბრამოვიჩი მწვრთნელებში ფულს ტყუილად იხდის



იტალიელ ანტონიო კონტესთან კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტა ჩელსის 31 მილიონი ევრო დაუჯდა. ლონდონელებს ეს თანხა მხოლოდ მწვრთნელისთვის როდი გადაუხდიათ, მთელ სამწვრთნელო შტაბზე გადანაწილდა.

შეგახსენებთ, რომ კონტე არისტოკრატებმა 2018 წელს, კონტრაქტის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე გაათავისუფლეს და, რადგან მაშინ მხარეები საკომპენსაციო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ, საქმე სასამართლოში წავიდა. საბოლოოდ გადახდილი თანხის რაოდენობა კი მხოლოდ ახლა გაცხადდა – ფინანსური წლის შეჯამებისას აღმოჩნდა, რომ ლონდონელებს კონტესა და მისი გუნდისთვის 31 მილიონი გადაუხდიათ.

კონტე ჩელსის მწვრთნელის პოსტზე ასევე იტალიელმა მაურიციო სარიმ შეცვალა, რომელმაც აბრამოვიჩთან ერთი სეზონი გაძლო და სამშობლოში დაბრუნდა. ახლა კონტე – ინტერთან, ხოლო სარი იუვენტუსთან ერთად იტალიის ჩემპიონობისთვის იბრძვის.

საინტერესოა ისიც, რომ რომან აბრამოვიჩის პრეზიდენტობაში ჩელსის მწვრთნელებისთვის კომპენსაციად სულ 106 მილიონი ევრო აქვს გადახდილი.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სპეციალური დანიშნულების სამხედრო ნაწილების გადასხმა მტრის ტერიტორიაზე; 2. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 3. დაავადებული ორგანოს სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა; 4. მსხლის ფორმის, ზეთით მდიდარი ნაყოფის მქონე ტროპიკული მცენარე; 5. გეოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს დედამიწის ქერქის მოძრაობისა და დეფორმაციის პროცესებს; 9. გია დანელიას კინოკომედია; 12. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 14. არგენტინის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 15. ქართული ლუდი; 17. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი.

**თარაზულად**: 6. სატუსაღო ძველ თბილისში; 7. ვირტუოზი ქართველი ხელბურთელი; 8. მოყვითალო ფერის, სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე; 10. ეგვიპტის დედაქალაქი; 11. წყლის შიში; 13. გადაჭარბებული თაყვანისცემა რამისადმი; 16. არქტიკული სარტყელი, უტყეო სივრცე; 19. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია „ნატოს“ შტაბბინა; 20. ჩქარტემპიანი ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 იანვარი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.8870

ევრო — 3.2077

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7655

100 რუსული რუბლი — 4.6392

**ამინდის პროგნოზი 10 იანვრისთვის**




## გიორგი შენგელაიას ღვაწლმოსილ ქართველებზე ფილმების გადაღება სურს



რეჟისორი გიორგი შენგელაია გამოვიდა ინიციატივით, გადაიღოს ფილმები იმ მწერლებზე, მეცნიერებზე, ხელოვანებსა და საზოგადო მოღვაწეებზე, რომლებიც ქართველ ხალხს განსაკუთრებულად უყვარს:

— არც ისე ბევრია საქართველოში ისეთი მწერალი, მეცნიერი, ხელოვანი თუ საზოგადო მოღვაწე, რომლებსაც ქართველი ხალხი სახელებით მოიხსენიებს. ასეთები არიან — შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, ნიკალა, ექვთიმე...

დღეს, ჩვენს გაუკულმართებულ დროში, ყველა ორიენტირი დარღვეულია, დღეს ჩვენს ხალხს, ჩვენს ახალგაზრდებს სთავაზობენ „ცნობად სახეებს“. მე არ ვიცი, რას ნიშნავს ეს ტერმინი, ვინ არის ის ხალხი, რომლებსაც ჩვენი ახალგაზრდობა ცდილობს მიბაძოს და მათნაირი ცხოვრებით იცხოვროს.

აი, ამ ფონზე გამიჩნდა დაჟინებული სურვილი, რომ გავაკეთო რამდენიმე დოკუმენტური სურათი სწორედ იმ ხალხზე, რომლებსაც ქართველები სახელებით მოიხსენიებენ.

## მცხეთაში წმინდა გიორგის ეკლესია რეაბილიტირებულია



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კარსანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის სრულმასშტაბიანი რეაბილიტაციის პროექტი დასრულდა.

სარესტავრაციო პროცესის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შედეგად, მიწის სამუშაოების მხრივ, საძირკვლის გაძლიერების მიზნით ჭადრაკული წესით მოეწყო რკინაბეტონის საძირკველი. კირის ხსნარზე ქართული მეორადი აგურით გადაეწყო და განახლდა ეკლესიის ოთხივე ფასადის დაზიანებული და დაძრული სტრუქტურული წყობა. ტაძრის მთელ პერიმეტრზე დამონტაჟდა „ცოკოლის“ საფეხური. ინტერიერში კირის ხსნარზე აღდგა საპირე წყობა ავთენტური ტიპის აგურით. აღდგა ეკლესიის კამარა და კონქი. ლორფინის იმიტაციის მქონე ფერადი თუნუქით მოეწყო სახურავი. ტაძრის დარბაზში იატაკი მოეწყო დახერხილი ქვით ტრადიციული ქართული წყობით. დამზადდა და დამონტაჟდა კარ-ფანჯრები ლითონის აქსესუარებით. ტაძრის მთელ პერიმეტრზე მოეწყო სარინელი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 10 იანვრისთვის



**ვერძი** — დღის პირველ ნახევარში საყიდლებზე წასვლა და მსხვილი კაპიტალდაბანდებები იღბლიანი იქნება. საღამოს ყოველგვარი კომერციული საქმიანობა აღკვეთეთ. ემოციები მოთოკეთ. **კურო** — კარგი პერიოდია გეგმების განსახორციელებლად. გელით ფინანსური მოგება. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. თქვენს საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ, თორემ პრობლემები შეგექმნებათ. **ტყუპები** — ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობისათვის შესაფერისი დღეა. საქმიანი კონტაქტები წარმატებული იქნება დღის პირველ ნახევარში. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **კირჩხიბი** — ახალი ენერგიით აღივსებით, რაც მიზნის მიღწევაში ძალიან დაგეხმარებათ. ხელმძღვანელობა თქვენს ინიციატივას მიესალმება და მხარს უჭერს. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. **ლომი** — თუ საქმეს დაიწყებთ, დაამთავრეთ კიდეც. სხვა პრობლემების მოგვარებაზე ნუ გადაერთვებით. გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **ქალწული** — პარტნიორისგან კარგ ახალ ამბავს შეიტყობთ. იღბლიანი დღეა მსხვილი კაპიტალდაბანდებებისა და ბიზნესკონტაქტებისათვის. **სასწორი** — დღეს, შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზება მიიღოთ. უარი არ თქვათ. სავარაუდოდ, სამსახურს შეიცვლით. **ღრიანკალი** — სახიფათო დღეა, დაკავშირებული ტრავმებთან, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან. ალკოჰოლს ერიდეთ. **მშვილდოსანი** — რთული დღეა პროფესიული საქმიანობის თვალსაზრისით. შესაძლოა, გრძელვადიანი გეგმების შეცვლა მოგიხდეთ. მეგობრებისა და ახლობლების გამოცდილება ფასდაუდებელ დახმარებას გაგიწევთ. **თხის რქა** — ახალი წამოწყება წარმატებული იქნება. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. საქმიანი მოლაპარაკებები სასარგებლო იქნება. **მერწყული** — სახიფათო დღეა, დაკავშირებული ტრავმებთან, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან. ალკოჰოლს ერიდეთ. **თევზები** — მოვლენები თქვენ სასარგებლოდ იცვლება. როგორც საქმიან სფეროში, ისე პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეები გაქვთ. ბავშვები და მოხუცები ჯანმრთელობას გაუფრთხილდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

პრემიერ-მინისტრი თათბირზე მინისტრებს ეკითხება:

— ბატონო მინისტრებო, როგორ მოვახერხოთ ნაგვის საკითხის მოგვარება?

— უნდა შევამციროთ მოქალაქეების შემოსავლები.

ისინი ნაკლებ პროდუქტებს შეიძენენ და, აქედან გამომდინარე, ნაგვის რაოდენობაც შემცირდება.

— კარგი იდეაა!!! მისი შესრულების გეგმას ვამტკიცებ!

●●●

ცოლი ქმარს ეჩხუბება:

— ე.ი. მადის მოსაყვანად დალიე, ხომ? და გალეშილი მთვრალი რატომ ხარ?

— ძალიან ცუდი მადა მქონდა...

●●●

ხელისუფლების წარმომადგენელი ერთ-ერთი მიყრუებული სოფლის მცხოვრებლებს ხვდება და ეკითხება:

— რა გიჭირთ, რით შეუძლია ხელისუფლებას, დაგეხმაროთ?

— ორი დიდი პრობლემა გვაქვს, — ეუბნება სოფლის გამგებელი, — ჯერ ერთი, საავადმყოფო გვაქვს, მაგრამ ექიმი არ გვყავს.

ხელისუფლების წარმომადგენელმა მობილური ტელეფონი ამოიღო, რამდენიმე წუთი ილაპარაკა, შემდეგ ადგილობრივებს მიუბრუნდა და ეუბნება:

— საკითხი გადაწყვეტილია, ექიმი ხვალ ჩამოვა. და მეორე პრობლემა რა გაქვთ?

— მობილური კავშირგაბმულობა საერთოდ არ მოქმედებს...

●●●

დედა თავის სტუდენტ გოგონას ურეკავს და ეუბნება:

— შვილო, როგორ ხარ? ამბობენ, რომ მანდ თქვენთან სტუდენტები ლოთობენ, ეწევიან, ნარკოტიკებს იღებენ, სექსით არიან დაკავებული, რელიგიურ სექტებში ერთიანდებიან...

— რას ამბობ, დედა, რელიგიურ სექტებში???

●●●

გამომძიებელი მოწმეს ეკითხება:

— ასე ხანგრძლივმა დაკითხვამ ხომ არ დაგღალათ?

— არა, რას ამბობთ, უკვე 20 წელია, ცოლიანი ვარ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— გაიგე? პოლიციელს ქალი გაუუპატიურებია.

— მერე?

— მერე, პოლიციელი გაუპატიურებისთვის გაასამართლეს, ქალი კი — პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის.

## ანი ბებია და ილო ბეროშვილი მშობლები გახდებიან



მსახიობები ანი ბებია და ილო ბეროშვილი მშობლები გახდებიან. წყვილი პირველ შვილს ელოდება.

ინფორმაცია ამის შესახებ ინტერნეტში გავრცელდა და ორივე მსახიობის გულშემატკივარი ძალიან გაახარა.

ილოსთვის ეს მესამე შვილი იქნება. მას ჟურნალისტ ნელიკო აგირბასთან ორი გოგონა ჰყავს.



## ნათია თოდუას სიმღერა საერთაშორისო კინოფესტივალში მონაწილეობს

გერმანული ვოისის“ გამარჯვებულისა და „საქართველოს ვარსკვლავის“ ჟიურის წევრ მომღერალ ნათია თოდუას სიმღერა „ლავ ლეთერ“ (სიყვარულის წერილი) საერთაშორისო კინოფესტივალში მონაწილეობს კატეგორიაში „საუკეთესო მუსიკალური ვიდეო“. კინოფესტივალის ოფიციალურ ვებგვერდზე ნათიასთვის ხმის მიცემა ნებისმიერ მსურველს დღეში ერთხელ შეუძლია.

## კილიან მბაპემ თავის მომავალზე ისაუბრა



პსჟ-ს ვარსკვლავმა კილიან მბაპემ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ჯერჯერობით ის პსჟ-ს ფეხბურთელია და მხოლოდ ამ გუნდზე ფიქრობს.

მბაპეს აზრით, ზაფხულამდე ტრანსფერებზე ფიქრი მიზანშეწონილი არ არის, რადგან ეს ფეხბურთზე კონცენტრირებაში ხელს უშლის:

— მომავალზე ამწუთას არ ვფიქრობ, რადგან წინ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, სადაც უნდა დავამტკიცოთ, რომ მაღალ დონეზე თამაში შეგვიძლია და წინა წლების შედეგები მხოლოდ შემთხვევითობა იყო. მხოლოდ ამის შემდეგ დავფიქრდები ახალ კონტრაქტზე.

## სტივენ ჯერარდი: „ვწუხვარ, რომ კლოპთან მუშაობა არ მომიწია“



ლივერპულის ყოფილმა კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა იურგენ კლოპზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ლივერპულის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მწვრთნელია.

ჯერარდის აზრით, კლოპმა გუნდთან ერთად უკვე ძალიან ბევრს მიაღწია:

— სამწუხაროა, რომ როდესაც კლოპი მოვიდა, უკვე გუნდში აღარ ვიყავი, მაგრამ ლივერპულის ყურება ძალიან მსიამოვნებს, როდესაც გუნდის ასეთ პროგრესს ვხედავ. მინდა, რომ ლივერპულმა პრემიერ ლიგა მოიგოს და ეს შვებას მომგვრის. ლივერპულში მთელი ცხოვრება გავატარე და ეს გუნდი ჩემთვის განსაკუთრებულია.

## სამუელ უმტიტიმ, შესაძლოა, ბარსელონა დატოვოს



ბარსელონის ფრანგმა მცველმა სამუელ უმტიტიმ, შესაძლოა, გუნდი დატოვოს და საფრანგეთში დაბრუნდეს.

ტრავმების გამო უმტიტიმ ბარსელონის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და ამის გამო ის უკმაყოფილებას არ მალავს.

საფრანგეთის გარდა, უმტიტის ინგლისშიც აქვს რამდენიმე ვარიანტი და მისი შეძენით ლონდონის არსენალია დაინტერესებული.

ბარსელონა უმტიტის 30 მილიონზე ნაკლებად არ შეელევა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. თოკზე გრძლად ასხმული ყურძნის მტევნები; 2. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი ცენტრი აშშ-ში; 3. უკრაინის პრეზიდენტი; 4. მდინარე კიევში; 6. მოლაპარაკე ფრინველი; 8. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 11. უბანი სოხუმში; 12. ქართული მინერალური წყალი; 16. ბერების სადგომი მონასტერში; 17. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 18. ჟირაფისნაირთა ოჯახის ცხოველი.

**თარაზულად**: 1. ინდონეზიის დედაქალაქი; 5. გერმანელი მწერალი; 7. შორეულ აღმოსავლეთსა და ჩინეთში გავრცელებული სამკურნალო მცენარე; 9. სისხლძარღვი; 10. ძვირფასი ქვების ძველი ქართული საერთო სახელწოდება; 13. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 14. ბრმად თაყვანისცემის უსულო საგანი; 15. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 19. სამეგრელოსა და ლეჩხუმში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 20. მსახიობის პატივსაცემად გამართული სპექტაკლი, კონცერტი; 21. ქართველი ტყვიით მსროლელი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი; 22. ფულის ერთეული ერაყში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

